ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 9 ივნისი, 2020 №124 (8388) ფასი: 60 თეთრი

„მთელი ცხოვრება ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ გავატარე“

გვ.5


ალექსანდრე ივანოვს ბრალი დაუმძიმდა

# კალაძე და გახარია ერთმანეთს ფულის გამო დაეტაკნენ?!

გვ.2



„ოცნებაში“ შიდა მზარეული სხვაა, ივანიშვილი დეგუსტაციას აკეთებს“

რამაზ საყვარელიძე: „პარლამენტში გამოცდილი ადამიანი უნდა შევიდეს“

გვ.3


მამუკა გამყრელიძე: „ქართველი ერი უნდა მიხვდეს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში საშიშია“




„მეშინია, რომ საარჩევნოდ პანდემიის მეორე ტალღა არ შემოგვიგდონ, მოიგონონ. როგორც ხედავთ, საკმაოდ მართვადია ეს პროცესი, ძალიან ადვილი სამართავია. ამიტომ ყველაფერს უნდა ველოდეთ“

„ივანიშვილი „ოცნებისგან“ მართულ ჯგუფებს ქმნის“


გვ.4

ლევან ჩაჩუა: „ხელისუფლება ინფექციის მეორე ტალღასაც სარფიანად გამოიყენებს“


გვ.3

უჩა ნანუაშვილი: „ეკლესიისთვის ტყის გადაცემა საარჩევნო გადაწყვეტილებაა“

მაია ნიკოლეიშვილი: „ნაციონალების დრო პოლიტიკაში იწურება“


გვ.4

გვ.2


დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის გარეშე ყოფნისთვის 20 ლარით დაჯარიმდებით

ISSN 1987-9385

3 მუხიანში მეხანძრეებმა 3 ბავშვი და 2 სრულწლოვანი გადაარჩინეს

5 „ოცნების“ დეპუტატი გიორგი ქინქარაული 2 პირის დაჭრისთვის დააკავეს

5 პროკურორი: „ცოტნე გამსახურდიას ჩვენებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული“

6 დიდ ბრიტანეთში ჩასულ პირებს 14-დღიანი კარანტინის გავლა მოუწევთ

# კალაძე და გახარია ერთმანეთს ფულის გამო დაეტაკნენ?!

## მამუკა გამყრელიძე: „ქართველი ერი უნდა მიხვდეს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში საშიშია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ოპოზიციური გაერთიანება „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს



***– ბატონო მამუკა, ბოლო დღეებია საზოგადოების ინტერესს იწვევს ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები. იყო მოლოდინი, რომ ოპოზიციას ერთობა გაუჭირდებოდა და ჯერჯერობით ასეც ჩანს. რას იტყვით თქვენ, ადამიანი, რომელიც ამ პროცესებს შიგნიდან უყურებთ და მისი თანამონაწილე ხართ?***

– ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ის პროცესი, რომლიც მიმდინარეობს გართიანებულ ოპოზიციაში. „ძალა ერთობაშია“ ეს სრულიად სხვა პროცესია. ეს პოლიტიკური გაერთიანება საარჩევნო კოალიციად ყალიბდება უკვე და ჩვენ ვაპირებთ ერთად გასვლას ამ არჩევნებზე. ჯერ-ჯერობით ასეთი შეთანხმებაა. უკვე დავიწყეთ ყოველდღიური შეხვედრები, კონსულტაციები და მუშაობა. რაც შეეხება იმ დიდ ფორმატს...

***– ლეიბორისტების ოფისის ფორმატს?***

– დიახ. სიმართლე გითხრათ, ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი ამ სიტუაციის მიმართ. ამ ფორმატში ჩვენ არ ვართ არც საარჩევნო კოალიცია, არ ვართ არც გაერთიანება, ეს არის ოპოზიციური პარტიების ერთობა, ცალ-ცალკე ვართ. ჩვენ შორის უნდა ყოფილიყო გამჭირვალობა. ახლა ვხედავთ, რომ ორი თუ სამი პარტია შეიკრიბა, მოილაპარაკეს, რომ თბილისში 8 კანდიდატს ერთად წარადგენენ. კი ბატონო, ეს კარგია, მშვენიერია, მაგრამ მაშინ ჩვენთანაც მოხდეს ამ საკითხის შეთანხმება.

***– ეს არ ყოფილა ამ პარტიების ერთობლივი გადაწყვეტილება?***

– არა. ასე გამოდის, რომ ვინც ვართ ამ გაერთიანებაში, ყველამ მხარი უნდა დავუჭიროთ ამ ადამიანებს, რაც ნორმალური და კარგი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთანხმება მოხდება ჩვენთან შეთანხმებით. ამ შემთხვევაში, კი ბატონო, მომეწონება თუ არ მომეწონება კანდიდატი, მხარს დავუჭერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ მივიღებთ ამ პროცესში მონაწილეობას, ვიტოვებ უფლებას, არ დავუჭირო მხარი. ამიტომ ეს ძალიან მკვეთრად არის გასარჩევი. ეს ორი სრულიად სხვადასხვა ფორმატია. „ძალა ერთობაშია“, იქ ჩვენ ვართ საარჩევნო კოალიციად წარმოდგენილი, აქ, ყველა ცალ-ცალკე.

***– „ძალა ერთობაშიას“ ფორმატში არის ნაციონალური მოძრაობა და არ არის ევროპული საქართველო. ასეა?***

– დიახ, ასეა. „ძალა ერთობაშიას“ ფორმატში არის 12 სუბიექტი და აქედან ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სუბიექტი არის ნაციონალური მოძრაობა. ევროპული საქართველო კი არ არის და ვისურვებდი, რომ იყოს.

***– ნაციონალურ მოძრაობასაც ჰქონდა გარკვეული პრეტენზიები და შეთანხმდით?***

– ერთი გაუგებრობა, რაც მოხდა, ეს იყო გიორგი ვაშაძესთან დაკავშირებით. გაღიზიანება მოყვა იმას, რომ სხვებთან შეუთანხმებლად რატომ წარადგინა თავი პრემიერადო. სინამდვილეში ვაშაძეს არ წარუდგენია, ჩვენ ამაზე უკვე ვისაუბრეთ, ეს იყო თაკო ჩარკვიანის პერსონალური განცხადება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

***– ანუ „ძალა ერთობაშია“ ცდილობს, რომ ერთიანი კანდიდატებით წარდგეს?***

– „ძალა ერთობაშია“ ცდილობს, რომ ძალიან შეკრული და ძალიან ერთიანი გუნდით წარდგეს.

***– მეორე ფორმატი დაიშლება?***

– მეორე ფორმატი საარჩევნოდ არც იქნება წარმოდგენილი. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. აქ ლაპარაკია მარტო თბილისის მაჟორიტარებზე, მეტი სხვა არაფერზე არ არის საუბარი. ეს იცით როგორი რაღაცაა, ნახევარფეხმძიმობასავით გამოდის. თბილისში გვყავს კანდიდატები, რეგიონებში კანდიდატები არ იქნება, პროპორციული სია, მით უმეტეს, არ იქნება... ის რაღა საჭიროა, მაშინ იმ 8 კანდიდატის წარმოდგენა?! ძალიან ხისტი და ძალიან არასასიამოვნო იყო ევროპული საქართველოს მოსმენა, რომელიც ლამის შანტაჟის ენით ლაპარაკობდა. პირადად მე, ძალიან არ მომეწონა. ნაციონალებმა კი თქვეს, ჩვენ ორი ადგილი მოგვეცით და დანარჩენი, როგორც გინდათ, ისე დაინაწილეთო. აი დანარჩენი ვინ იქნება, ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის. იმიტომ, რომ გავიმეორებ, პირადად ჩემთან, ასევე იქ, 30 პარტიაა და იქ, უმრავლესობასთან ეს საუბრები საერთოდ არ ყოფილა. ამიტომ ალბათ უნდა გავერკვეთ ამაში, ვინ არის, რას წარმოადგენს...

> **„მეშინია, რომ საარჩევნოდ პანდემიის მეორე ტალღა არ შემოგვიგდონ, მოიგონონ. როგორც ხედავთ, საკმაოდ მართვადია ეს პროცესი, ძალიან ადვილი სამართავია. ამიტომ ყველაფერს უნდა ველოდეთ“**

***– სხვა შემთხვევაში მხარს არ დაუჭერთ?***

– რატომ უნდა დავუჭირო მხარი, თუ არ ვიცი, ვინ არის და არც მკითხეს აზრი?! მით უმეტეს, ეს არ არის საარჩევნო ფორმატი, უბრალოდ, ეს არის რაღაც პოლიტიკური სათათბირო, სადაც ეს პარტიები შეიკრიბნენ და რაღაცა კონსულტაციის რეჟიმში საუბრობენ.

***– გამოდის ხმები, რომ ოპოზიციას ბიძინა ივანიშვილი უდგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს. არიან პარტიები, რომლებიც ივანიშვილის თამაშს თამაშოებენ ამ გაერთიანებაში?***

– რა გითხრათ, ჩემთვის არაფერი შემოუთავაზებია ივანიშვილს, არც სამოქმედო გეგმა არ გამოუგზავნია. ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ვიღაცას რომ მასთან პერსონალურ დონეზე კონტაქტი ექნება, ეს სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია. კულუარებში ვინ, სად და რას საუბრობს, ვერ გეტყვით. პირადად მე, არანაირი კონტაქტი არასდროს არ მქონია ამ ადამიანთან არც საქართველოში და არც რუსეთში ყოფნისას.

***– რამდენად შეძლებს ივანიშვილი, რომ სიტუაცია არიოს ოპოზიციურ ფლანგზე?***

– ამ ადამიანს იმხელა ფულადი რესურსი აქვს და იმდენად სუსტია ადამიანი, ყველაფერი შეიძლება რომ მოხდეს. არასდროს არაფერს არ გამოვრიცხავ. სწორედ ამიტომ იყო საშიში ამ ადამიანის მოყვანა პოლიტიკაში თავის დროზე, 2012 წელს ვგულისხმობ. მას სხვებთან შედარებით, მართლაც რომ შეუდარებლად დიდი ფინანსური რესურსი აქვს. ამიტომ ის ძალიან საშიშია. თუ მიხვდება ქართველი ერი მაგას, რომ პოლიტიკაში არ უნდა იყოს ასეთი ადამიანი, ძალიან კარგი. იყოს ბიზნესში, აკეთოს თავისი საქმე და ღმერთმა ხელი მოუმართოს. პოლიტიკაში ეს კაცი, უბრალოდ, საშიშია.

***– რას იტყვით ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე? დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი გახარიას წასვლაზე, თუმცა ამ 20 ივნისსაც ჩემთან ერთად შეხვედრითო შეგვპირდა. რას იტყვით თქვენ, გაუშვებს გახარიას ივანიშვილი?***

– აქ არის ერთი მარტივი მომენტი, თუ გახარიას დააყენებენ სიის სათავეში, მაშინ მას მოუწევს თანამდებობის დატოვება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ გახარია სიის სათავეში იქნება?***

– არ გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ გახარიამ თავის თავი არაერთხელ აჩვენა, როგორც ძალიან ეფექტიანმა ხელმძღვანელმა საარჩევნო პროცესის. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მას ვიხილავთ სიის სათავეში.

***– და ეს იქნება მიზეზი მისი პრემიერობიდან წასვლის?***

– თუ ასე მოხდა, კი. თუმცა შიგნიდან სხვა ბევრი ჭორიც გამოდის.

***– კერძოდ?***

– ის, რომ სერიოზული პრობლემები იყო მასა და კახა კალაძეს შორის. ეს ჯერჯერობით ჭორის დონეზე ვიცით და ვნახოთ. თუმცა ფაქტია და პირადად ჩემი შეფასება ასეთია, კალაძე რომ არის, ამაზე ცუდი მერი თბილისს ჯერ არ ყოლია. ამას ვხედავ ყოველდღე, ვაკეში ვცხოვრობ.

***– ბოლო პერიოდია ძალიან ბევრს საუბრობენ კალაძის კორუფციაში ჩართულობაზე. თქვენ ფიქრობთ, რომ ამიტომ დაეტაკა გახარია კალაძეს?***

– არ გამოვრიცხავ. თუმცა შესაძლოა, ფულიც ვერ გაიყვეს ერთმანეთში. დავიჯერო, კალაძე ყელამდეა კორუფციაში და გახარია ანგელოზია? ფაქტია, რომ კალაძის მიმართ საზოგადოებაში დიდი გაღიზიანება გროვდება. ხომ ვუყურებთ, როგორი სიტუაციაა. ძალიან ქედმაღალი ადამიანია, როგორი ცინიკური განცხადებები აქვს. ეს კი მიუღებელია ხალხისათვის. საქმე ისაა, რომ ცინიზმი არც გახარიას აკლია. ეს ცინიკური პოზიცია, თეთრზე რომ შავს გეუბნებიან, მართლა სამარცხვინო საყურებელია.

***– როგორ მივალთ არჩევნებამდე?***

– მე ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ ამ პანდემიის მეორე ტალღა არ შემოგვიგდონ, მოიგონონ. როგორც ხედავთ, საკმაოდ მართვადია ეს პროცესი, ძალიან ადვილი სამართავია. ამიტომ ყველაფერს უნდა ველოდეთ.





# დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის გარეშე ყოფნისთვის 20 ლარით დაჯარიმდებით

დახურულ საჯარო სივრცეებში პირბადის ტარების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირები 20 ლარით დაჯარიმდებიან. აღნიშნულის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა კომიტეტის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, ამ საკითხზე მმართველ გუნდში შეთანხმება მიღწეულია.

დეპუტატის განმარტებით, იგივე ოდენობის ჯარიმა განისაზღვრება საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ტაქსიში როგორც მძღოლის, ასევე მგზავრის მიერ აღნიშნული წესის დარღვევისთვის.

– „ქართული ოცნების“ გუნდში ვიმსჯელეთ და გუნდის უმრავლესობის განწყობა იყო, რომ ეს 50 ლარი შეგვემცირებინა. შესაბამისად, დღეს კომიტეტზე შევამცირეთ 50 ლარიანი სანქცია და გათვალისწინებული იქნება 20 ლარი იმ შემთხვევაში, თუკი ფიზიკური პირი საჯარო თავშეყრის ადგილში პირბადის ტარების წესს დაარღვევს, ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების დროს დაარღვევს პირბადის ტარების წესს. ასევე 20 ლარით იქნება გათვალისწინებული პასუხისგება, თუკი ტაქსით გადაადგილების დროს მძღოლი ან მგზავრი დაარღვევს ამ წესს.

რაც შეეხება იურიდიული პირებს, თუკი ამ ვალდებულებას დაარღვევენ, რომ არ მოხდეს საჯარო თავშეყრის (დახურულ) ადგილებში მათ მიერ ფიზიკური პირების პირბადის გარეშე დაშვება, გათვალისწინებულია 500 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა.

რჩება ძალიან მნიშვნელოვანი სფეროები ასევე, როცა კარანტინის წესს უნდა დაემორჩილოს, ვინც საზღვარგარეთიდან ჩამოდის, უნდა მოხდეს კარანტინის წესების სრული დაცვა, იურიდიული პირების მიერ უნდა მოხდეს ასევე შესაბამისი წესების დაცვა, რომ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი საზოგადოების უსაფრთხოება. თუკი ეს არ იქნება დაცული, ფიზიკური პირისთვის გათვალისწინებულია 2.000 ლარიანი ჯარიმა, ხოლო იურიდიული პირისთვის 10.000 ლარიანი ჯარიმა, ხოლო თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი განმეორებით განახორციელებს ამ მძიმე ტიპის დარღვევებს, აქ უკვე დაიწყება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, – განაცხადა ოხანაშვილმა.

# ირაკლი შოთაძე კელი დეგნანს შეხვდა

საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კელი დეგნანს შეხვდა.

გენერალურმა პროკურორმა ელჩს მადლობა გადაუხადა საელჩოს მხრიდან გაწეული დახმარებისთვის, განსაკუთრებით იმ წვლილისთვის, რაც კიბერდანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარების მიმართულებით დახმარებას ეხება.

შეხვედრაზე ასევე ირაკლი შოთაძემ კელი დეგნანს საქართველოს პროკურატურის სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები გააცნო.

– ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, კელი დეგნანთან, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. საუბარი შეეხო საქართველოს პროკურატურასა და აშშ-ის საელჩოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით გადასადგმელ ნაბიჯებს. ასევე დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები, პროკურატურის სისტემის განვითარების კუთხით გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა საქართველოს პროკურატურას მჭიდრო თანამშრომლობისთვის, საერთაშორისო დანაშაულობების გამოძიების საქმეებში ჩართულობისა და დახმარებისთვის, ასევე საექსტრადიციო საკითხებში დახმარებისთვის.

– შესანიშნავი შეხვედრა მქონდა გენერალურ პროკურორთან. გვქონდა შესაძლებლობა განგვეხილა თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ექსტრადიციები, საქართველოსა და შეერთებული შტატებისთვის საინტერესო სხვა სამართლებრივი საკითხები. ჩვენ აგრეთვე ვისაუბრეთ გენერალური პროკურორის მნიშვნელოვან როლზე მოახლოებულ არჩევნებში, მათ შორის ამომრჩეველთა მოსყიდვის და ამომრჩეველთა დაშინების შესახებ საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით და ვთვლი, რომ გენერალური პროკურატურა მზადაა, აიღოს უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობა შემოდგომაზე, რომ ამომრჩევლებს ჰქონდეთ სრული ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ, – განაცხადა ელჩმა კელი დეგნანმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# უჩა ნანუაშვილი: „ეკლესიისთვის ტყის გადაცემა საარჩევნო გადაწყვეტილებაა“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის განცხადებები პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოების ერთი ნაწილის განხილვის საგანი ხდება. მამუკა ხაზარაძემ თქვა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას არ ემხრობა. უფრო მეტიც, ხაზარაძე ამბობს, რომ ლგბტქ თემის წევრები საქართველოში არ იჩაგრებიან. ხაზარაძე პრობლემას ვერც ეკლესია-მონასტრებისთვის ტყის მასივების მიცემის უფლებაში ხედავს და მას მხარს უჭერს. როგორც ჩანს, ახლად დაფუძნებული პარტიაც ეკლესიისა და მორწმუნეების გულის მოგებაზე აკეთებს აქცენტს.**

არის თუ არა კონკრეტული ფაქტები და გამოწვევები იმაზე, რასაც მამუკა ხაზარაძე ვერ ან არ ხედავს და არის თუ არა მისი განცხადებები წინასაარჩევნო პოპულიზმი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** საუბრობს.

***– „ლელოს“ ლიდერებმა უცნაური განცხადებები გააკეთეს. მათ თქვეს, რომ თურმე ქვეყანაში ლგბტქ თემის წარმომადგენლები არ იჩაგრებიან და ვერც იმაში ხედავენ პრობლემას, როდესაც სახელმწიფო ეკლესიას ტყეების საკუთრებაში დარეგისტრირების უფლებას ანიჭებს. გვაქვს თუ არა საქმე წმინდა პოლიტიკურ პოპულიზმთან?***

– პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გავაკეთებ, ვინაიდან მე ადამიანის უფლებებისა და სამართლის მიმართულებით ვმუშაობ, მაგრამ ამ განცხადებებში არჩევნების კვალი აშკარად ჩანს. რა თქმა უნდა, ამ განცხადების ამ ფორმით გაკეთებაში გათვლა კეთდება აუდიტორიაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ განცხადების ავტორს სრულიად პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. ჩვენი აზრი ცნობილია ამ შემთხვევაში და არ ვიზიარებთ ამ პოზიციას. მიგვაჩნია, რომ ეს ორივე საკითხი არის მნიშვნელოვნად პრობლემური საზოგადოებისთვის და ზოგადად ორგანიზაციებიც და მათ შორის პოლიტიკური ძალებიც მაქსიმალურად უნდა იყვნენ ამ პრობლემურ საკითხებზე ფოკუსირებული და სამწუხაროა, რომ ასეთი განცხადებები გაკეთდა.

თუმცა, ეს არის პოლიტიკური თემა და აშკარად პოლიტიკური საკითხია. სამწუხაროა, რომ ახლა, არჩევნების წინ, ასეთი განცხადებები კეთდება. მით უმეტეს, იმ ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც მოიაზრება როგორც მესამე პლატფორმად და ის არის ახალი ორგანიზაცია. ძალიან სამწუხარო იყო ასეთი განცხადებების გაკეთება, რომელიც არ ეყრდნობა რეალურ ფაქტებს.

***– თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რას იტყვით, რეალურად გვაქვს თუ არა ლგბტქ თემის ჩაგვრასთან საქმე? თუნდაც ამ პარტიის გასაგონად რომ თქვათ და საზოგადოებასაც რომ მიაწოდოთ ინფორმაცია ამ თემასთან დაკავშირებით?***

– ამის დადასტურებული ფაქტები წლების განმავლობაში არსებობდა. მათ შორის, ფიზიკური ძალადობისა და მკვლელობების კონკრეტული ფაქტები არსებობს. რამდენი ადამიანი გარდაიცვალა ბოლო წლების განმავლობაში, საუბარია ტრანსსექსუალ ადამიანებზე. ეს მოხდა სწორედ აღნიშნული სახის დისკრიმინაციისა თუ ტრანსფობიის გამო. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა და მას რეალისტურად უნდა აღიქვამდეს ყველა ნორმალური საზოგადოება ქვეყანაში. მათ შორის პრობლემები არის იმ კუთხითაც, რომ ძალადობასთან დაკავშირებული ათეულობით საქმე დღემდე გამოუძიებელია. ეს რეალობაა და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. სამწუხაროა, რომ დაუსჯელობის სინდრომი არა მხოლოდ გრძელდება ქვეყანაში, არამედ იქმნება ნიადაგი იმისა, რაც ასეთ ჩაგვრას განაპირობებს.

ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობის დონეზე გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. იგივე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მოხდა პარლამენტის მხრიდან, რომელიც უკვე ამოქმედებულია. ასევე იყო სხვა ცვლილებებიც. ამის მიუხედავად, მთლიანობაში ეს ბევრ რამეს ვერ ცვლის და ეს არის ფაქტი.

***– ხომ არ აპირებთ პრეცედენტის დაშვებას უფლებადამცველები იმ მიმართულებით, რომ როდესაც ასეთი წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციები გააკეთებენ ასეთ განცხადებებს, მათ მიაწოდოთ კონკრეტული ფაქტები საჯაროდ, რადგან თუ მათ არ აქვთ ინფორმაცია, მიაწოდოთ ეს ინფორმაციები?***



– იცით რა არის? არაერთი კონკრეტული ფაქტი ყოფილა გასაჯაროებული. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პოლიტიკური ძალის ლიდერებსაც აქვთ წვდომა ამ დოკუმენტებზე. როგორც მინიმუმ, მათ ჰყავთ თანამშრომლები, რომლებიც ამ სფეროს ძალიან კარგად იცნობენ და მათი ვალდებულებაც იქნება, რომ მოხდეს მათი პოლიტიკური ხელმძღვანელების გათვითცნობიერება და თუ ეს არ ხდება, ეს, პირველ რიგში, მათთვის არის პრობლემა და შემდეგ უკვე ქართული საზოგადოებისთვის.

***– რაც შეეხება ტყეების ეკლესიისთვის გადაცემის საკითხს, ამ მხრივ პრობლემას თქვენ ვერ ხედავთ?***

– რა თქმა უნდა, პრობლემა არის და ამაზეც იყო არაერთი განცხადება გაკეთებული. მათ შორის ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან, რომ არ არსებობს ამ ნაბიჯის საჭიროება. მით უმეტეს, გარკვეული კითხვის ნიშნებია დასმული, რამდენად თანასწორუფლებიან გარემოში უწევთ სხვა ჯგუფებს საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში და რატომ ხდება გამონაკლისების დაშვება. მით უმეტეს, რომ განსაკუთრებული აქცენტი წინასაარჩევნო პერიოდზე იყო გაკეთებული. ამ პერიოდში განხორციელებული მსგავსი ცვლილებები კანონმდებლობაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არჩევნების შედეგებზე აისახება. რისი მიზანიც გარკვეული ჯგუფების თუ ინსტიტუციების მიმართ დადებითი განწყობების მოპოვებაა. ეს პირდაპირ ხდება საარჩევნო სპეკულაციებისთვის და შეიძლება იყოს მოსყიდვის მსგავსი გადაწყვეტილება, რაც ძალიან სამწუხაროა.

ჯერ ერთი, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოების ჩართულობის გარეშე და მეორე, როდესაც მას იღებენ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. ქვეყანა ებრძვის უსერიოზულეს პრობლემას და ამ დროს, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არ იყო ქვეყანაში, ისე მოხდა მისი მიღება. მეორე ნაწილი სწორედ ამ საარჩევნო მიმართულებას უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებას სხვა განზომილებაც გააჩნია. ეს პირდაპირ პოლიტიკური და საარჩევნო გადაწყვეტილებაა და მას დაახლოებით იგივე ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, რაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს საბანკო ვალების ჩამოწერას ჰქონდა. ამაზეც იყო მაშინ საუბარი სავარაუდო მოსყიდვასთან დაკავშირებით.

***– ამ თემასაც მოსყიდვის კონტექსტში განიხილავთ?***

– საარჩევნო წელს და საარჩევნო თემატიკას უკავშირდება. მით უმეტეს, როდესაც საუბარია ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ინსტიტუციის გავლენის მოპოვებაზე. მაშინ, რატომ არ მოხდა ეს ადრე, თუნდაც გასულ წელს, ან არჩევნების შემდეგ?! ანუ დროს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, თუ როდის ხდება კონკრეტული ცვლილების მიღება თუ გადაწყვეტილება.

***– რატომ ხდება ხოლმე ყოველთვის ისე, რომ ხელისუფლება ან ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, მანიპულირებს ეკლესიისა და პოპულისტური თემებით და რატომ ვერ მივდივართ იქამდე, რომ ეს ორი ცნება გაიმიჯნოს ერთმანეთისგან?***

– ხელისუფლებას სჭირდება ეკლესიის კეთილგანწყობა მაშინ, როდესაც მას არ აქვს საკმარისი მხარდაჭერა და რეალურად მას არ აქვს გარანტირებული კონკრეტულ არჩევნებში გამარჯვება. ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხოლმე მთელი რიგი საკითხები. ამ შემთხვევაში მას სჭირდება დახმარება სხვა გარე ინსტიტუტისგან. ეს არაერთხელ ყოფილა გამოყენებული წინა ხელისუფლებისგანაც და ახლანდელი ხელისუფლებისგანაც. სამწუხაროა, რომ ეს პრაქტიკა გრძელდება, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. მათ შორის პლურალიზმის პრინციპებთან მიმართებაშიც, რამდენად არის დაცული ქვეყანაში ეს და ამაზეც არაერთხელ ყოფილა საუბარი.

# მუხიანში მეხანძრეებმა 3 ბავშვი და 2 სრულწლოვანი გადაარჩინეს

მუხიანის დასახლებაში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ნულ სართულზე ჩატარებული პრევენციული და სამაშველო ღონისძიებების შედეგად, საცხოვრებელი ბინიდან 3 არასრულწლოვანი და 2 სრულწლოვანი მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე უვნებლად გამოიყვანეს.

როგორც ,,ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში ინფორმაცია შევიდა, რომ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ნულ სართულზე შეინიშნებოდა ხანძარი. შეტყობინების მიღებისთანავე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები ადგილზე უმოკლეს დროში გამოცხადდნენ. ცეცხლი საცხოვრებელ კორპუსზე მიშენებულ დამხმარე ნაგებობას ეკიდა, რამაც კორპუსის ქვედა სართულების ძლიერი დაკვამლიანება გამოიწვია.

,,მეხანძრე-მაშველებმა, ხანძრის ქრობის პარალელურად, დაუყოვნებლივ განახორციელეს დაკვამლიანებული ტერიტორიის – მათ შორის, საცხოვრებელი ბინების დათვალიერება. ჩატარებული პრევენციული და სამაშველო ღონისძიებების შედეგად, ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინიდან 3 არასრულწლოვანი და 2 სრულწლოვანი მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე უვნებლად გამოიყვანეს, რომლებსაც შესაბამისი პირველადი სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გაეწიათ. მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

მომხდარის შედეგად, დაიწვა დამხმარე-ნაგებობის 10 კვ/მ-მდე ფართობი, ასევე, კორპუსის ნულ სართულზე განთავსებული სავაჭრო დაწესებულების ჭერი და პირველ სართულზე მდებარე საცხოვრებელი ბინის ფანჯარა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „ოცნებაში“ შიდა მზარეული სხვაა, ივანიშვილი დეგუსტაციას აკეთებს“

## რამაზ საყვარელიძე: „პარლამენტში გამოცდილი ადამიანი უნდა შევიდეს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, თქვენ განაცხადეთ, რომ საკადრო პოლიტიკა „ქართული ოცნების“ ყველაზე სუსტი წერტილია გახარიას გამოკლებით. როგორი შეიძლება იყოს მმართველი პარტიის საარჩევნო სია, რაზე შეიძლება აქცენტი გააკეთონ?***

– გახარიას გარდა, კალაძეც არის, მაგრამ ის მერია და არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მრავალი თვალსაზრისით არის საკადრო სისუსტე განპირობებული. ჯერ კიდევ ივანიშვილმა თქვა, რომ ეს არის პრობლემა. პრობლემა იყო ასევე, ყოფილი ნაციონალების არსებობა.

***– ზარდიაშვილს გულისხმობთ?***

– მათ შორის. ეს ფაქტი გახმაურდა, თორემ უფრო დაბალ დონეზე უფრო მეტი ფაქტია, რაც ძალიან ხშირად ადამიანებში უკმაყოფილებას აჩენს.



რაც შეეხება ახალ სიას: ახალი სახეებიო ამბობენ თვითონ, მაგრამ სახეების სიახლე ყოველთვის არ არის შედეგიანი. აქვთ კი ეს გააზრებული, ვერ გეტყვით. ახალ სახეებს თუ დააჯგუფებენ, შეიძლება ხმა საერთოდ ვერ მიიღონ, რადგან შეიძლება საზოგადოება, უბრალოდ, ვერ ცნობდეთ მათ. არჩევნებში ცნობადობა და რეიტინგულობა ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ევროპაში, ამერიკაში განათლების მიღება უალტერნატივოა ქვეყნის მშენებლობის საქმეში, თანდათან ფერმკრთალდება. ძალიან კარგია დასავლური განათლება, ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ ქვეყნის სპეციფიკის ცოდნა და გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირი ხდები. ერთი სიტყვით, მე იმაზე ვაკეთებ აქცენტს, რომ ადამიანებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ დასავლური განათლება.

უმჯობესი იქნებოდა, ორიენტაცია რეგიონალურ ლიდერებზე აიღონ. იმ ლიდერებზე, რომელთაც პოზიტიური, დადებითი იმიჯი აქვთ გაკეთებული საქმიანობიდან გამომდინარე. ამერიკაში იშვიათია პრეზიდენტი, რომელიც ჯერ გუბერნატორი არ ყოფილა. ანალოგიური მოდელი უნდა შემუშავდეს.

***– გამოცდილ პოლიტიკოსებზე აკეთებთ აქცენტს?***

– რა გითხრათ, რა ჯობია, ავადმყოფს გამოცდილმა ექიმმა უმკურნალოს თუ დამწყებმა?! პოლიტიკა მაინც ის სფეროა, სადაც გამოცდილებას, წლებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პარლამენტში გამოცდილი ადამიანი უნდა შევიდეს.

***– დღეს ვინც აქტიურად ჩანან მმართველ პარტიაში, ისინი შეიძლება კვლავ ვიხილოთ პარლამენტში?***

– თაობათა ცვლა არ ნიშნავს ერთის მოსპობას, ეს უფრო პროცესია, როდესაც დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, გადაცემა ხდება. ყველა ქვეყნის პარლამენტს რომ გადახედოთ, კი



არიან ახალგაზრდები, მაგრამ ჭაღარები სხედან იქ. ე.წ. ძველებიდან ვინც სჭირდება გუნდს, საქმეს, ამის გადახედვა უნდა მოხდეს, მათ თუ შეუერთდებიან მერე ე.წ. ახლები, ეს შეიძლება. უფრო მომგებიანი იქნებოდა.

***– არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის მოქმედი მინისტრიც იყოს. მაგალითად, შეიძლება ღარიბაშვილი საარჩევნო სიაში იყოს. რას იტყვით?***

– ნამდვილად არ გამიკვირდება. ღარიბაშვილი უფრო პოლიტიკოსია, პოლიტიკურად აქტიური ფიგურაა, ამიტომ საპარლამენტო არენას ბევრად უფრო წაადგებოდა, ვიდრე სამხედრო ნაწილს.

***– საარჩევნოს სიის პირველი ნომერი შეიძლება გიორგი გახარია იყოს?***

– არ გამოვრიცხავ, რადგან სიის პირველი ნომერი ყოველთვის მაღალრეიტინგული ფიგურა უნდა იყოს, რომ სია წაიყვანოს ანუ სია ყოველთვის თუ არა, ხშირად პირველ ნომერზეა მიბმული. პოლიტიკური გამოცდილება, რეიტინგი, ეს არის ის, რაც სჭირდება დეპუტატს საპარლამენტო ტრიბუნაზე.

***– ვინ დააკომპლექტებს 2020 წლის საარჩევნო სიას, ჩვენ ვიცით, რომ 2016 წლის საარჩევნო სია დიდწილად კალაძემ დააკომპლექტა? დღეს პარლამენტში მმართველ პარტიას, სწორედ კალაძის გუნდი წარმოადგენს. კვლავ ექნება მას ამის სურვილი?***

– სურვილი ალბათ ექნება. ყველა ადამიანს აქვს სურვილი, რომ გავლენა ჰქონდეს. ამაში უცნაური არაფერია.

***– რაც შეეხება გახარიას, მას ექნება ამის სურვილი?***

– აი, რაც შეეხება გახარიას, მას ამის მძაფრი სურვილი, ასე რომ ვთქვათ, საპარლამენტო ლობი ჰყავდეს, როგორც პრემიერსაც, არ გამოუვლენია. არათუ საპარლამენტო გუნდი, თვითონ მინისტრთა კაბინეტშიც თავისი ხალხი არ მოუყვანია. ამიტომ, გიორგი გახარიას, ალბათ არ ექნება ასეთი პრეტენზია, რომ მან მოითხოვოს რამდენიმე კვოტა სიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას.

***– რატომ?***

– ეს არ არის მისი სტილი.

***– სიას ივანიშვილი დაწერს?***

– ივანიშვილს არც ის სია და ის გუნდი ჩამოუყალიბებია. თქვენ კალაძე ახსენეთ, კალაძე იყო ერთ-ერთი მზარეული. ასეთი რამდენიმე მზარეული ალბათ ახლაც იქნება. სავარაუდოა, რომ დეგუსტაციას ივანიშვილი გააკეთებს.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# მაია ნიკოლეიშვილი: „ნაციონალების დრო პოლიტიკაში იწურება“

## „სააკაშვილის დროს სუფთა კოლონიალური პერიოდი გვქონდა. რაღაც შენდებოდა, რასაც უცხოეთს აჩვენებდნენ, შიგნით კი ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ღირდა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.**



***– ქალბატონო მაია, თქვენ სვამთ კითხვას, რატომ ვეხვეწებით და ვევაჭრებით მავნებლებს, მათ საერთოდ არ უნდათ არჩევნებიო. მავნებლებს ვის უწოდებთ, ნაცებს, ოპოზიციას?***

– რა თქმა უნდა, თუმცა მათ შორის ირმა ინაშვილს არ ვგულისხმობ. „პატრიოტთა ალიანსი“ თავისი წარსულით მავნებელი არ არის. ევრონაცები მავნებლები არიან. ის, ვინც სააკაშვილის რეჟიმის ქმედებების მონაწილე იყო, მავნებელია. მათ მავნებლობა ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაამტკიცეს, იმ რეჟიმის დროსაც და შემდეგაც, ე.წ. ოპოზიციაში ყოფნის დროსაც.

***– ახლა ნაცები ისე წარმოგვიდგენენ თავს, თითქოს გამოსწორდნენ.***

– ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთ დანაშაულს ვერ ხვდებიან და არ აღიარებენ. ვინც თავის დანაშაულს არ აღიარებს და არ ინანიებს, ის ვერასოდეს გამოსწორდება. ადამიანები, რომლებიც თავიანთ დანაშაულს ვერ ხვდებიან და არ ინანიებენ, იმ დანაშაულს აუცილებლად გაიმეორებენ, უფრო მწარედ და სასტიკად მოიქცევიან.

ყველაზე იდეალური სატყუარაა. მე თუ მკითხავთ, ჩვენ დემოკრატიის ხარისხით ბევრად მაღლა ვდგავართ, ვიდრე ბევრი განვითარებული ქვეყანა. ამას სრულიად გულწრფელად გეუბნებით, მინახავს და ამიტომ ვამბობ. ხომ ხედავთ, რაც ახლა აშშ-ში ხდება. ამ ძველ პოლიტიკოსებს მე უსაქმურებს ვეძახი.

***– უსაქმურებს რატომ ეძახით?***

– უსაქმურები არიან, რადგან ამ ადამიანებს არასოდეს უმუშავიათ და არაფერი შეუქმნიათ. ისინი ბიუჯეტიდან ჩვენი გადახდილი საშემოსავლოდან ბიუჯეტში დაგროვილ თანხას იდებენ ჯიბეში, ჩვენი სახელმწიფოს ასარევად და ქვეყნის უკუღმა წასაყვანად იყენებენ. გახსოვთ, ალბათ, სამკუთხა ბარათები რომ მოგვდიოდა გაუთავებლად. სააკაშვილის დროს საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩვენც მივმართავდით, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ.

***– თქვენ პირადად მიმართავდით თქვენს საქმეზე თუ ზოგადად საუბრობთ?***

– ჩემს საქმეზე არა. ჩემს საქმეზე სასამართლოს განაჩენი დადგა. ვისი დაკვეთა იყო, ყველაფერი გაირკვა და სრულიად ოფიციალურად, სასამართლოს წესით, ჩემი რეაბილიტაცია მოხდა. მადლობელი ვარ პროკურატურისა და სასამართლოსი, რომ ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა.

საერთაშორისო ორგანიზაციებს სხვების საქმეებზე, სხვების უფლებებზე მივმართავდით, იმავე სულხან მოლაშვილისა და სხვების საქმეებზე საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავდით, ვუგზავნიდით ფაქტებს, ფოტოდოკუმენტაციას, რომლებიც შეეხებოდა მკვლელობებს, წამების დროს მიყენებულ დამწვრობებს, წამებებს. დღეს ფრონტერას საქმეზე მიმართავენ და საქართველოს ადანაშაულებენ. ზოგს ბიუჯეტში მილიონობით ლარი აქვს გადასახდელი და აქეთ სახელმწიფოს შემოუტრიალდა, მავნებლობაა, აბა, რა არის. ამერიკელ კონგრესმენებსა და ევროპარლამენტარებს ტყუილებით რომ გაავსებ, მავნებლობაა, აბა, რა არის.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კოვიდის დროს ხალხის დაპანიკებას, სახელმწიფოსა და ექიმების როლის დაკნინებას რა შეიძლება დავარქვათ? ხომ იცით, რამხელა ბრძოლა გამოუცხადეს კოვიდთან ერთად სახელმწიფოს ამ უნიათოებმა? მავნებლობა მეტი არაფერია. მათი მავნებლობის უამრავი ფაქტია.

***– კი, მაგრამ ნაცები და ევრონაცები იმ ფაქტებზე პასუხისმგებლობას არ იღებენ და შემოქმედებით პიროვნებებად რომ წარმოდგენილიყვნენ, კოვიდის დროს ხელისუფლებისთვის რაღაც შეთავაზებებიც ჰქონდათ.***

– ესენი არიან ჩამოყალიბებული დესტრუქციული ძალები. მათ შემოქმედება აღარ შეუძლიათ. დესტრუქციას იმდენად შეეზარდნენ, მათგან შემოქმედებითი ძალები აღარასოდეს გამოვა. მშენებლობისა და აღმშენებლობის უნარი მათ სამუდამოდ დაკარგეს.

***– მიუხედავად ყველაფრისა, ეს ძალები 2020 წლის არჩევნებში გამარჯვებისთვის ემზადებიან. მათ ხელისუფლებაში დაბრუნების დიდი სურვილი აქვთ.***

– ხელისუფლებაში დაბრუნების ორი გზაა, არჩევნებში გამარჯვებისა და გადატრიალებით ძალაუფლების დაბრუნებისა. ევრონაცები წარსულია, სააკაშვილი წარსულია. წარსული არ ბრუნდება. არსებობს პროგრესი. ჩვენ წინ მივდივართ.

***– რადგან ნაცები 2012 წლის შემდეგაც პარლამენტში სხედან, ალბათ, საზოგადოების რაღაც ნაწილი ხმასაც აძლევს, ანუ, ზოგადად, ნაცებს თავიანთი ამომრჩეველი ჰყავთ. არ ფიქრობთ, რომ ისინი პოლიტიკაში სულ იქნებიან?***

– არა, მათი დრო პოლიტიკაში იწურება. მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილ სისტემურ დანაშაულებს ჯერ შეფასება არ მისცემია, არა იმიტომ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არ უნდოდა. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ხელისუფლებას უფლება არ მისცეს, სათანადო შეფასება მიეცა იმ სისტემური დანაშაულებისთვის (რაც სააკაშვილის რეჟიმის ხელწერა იყო), რომ მისთვის სახელი დაგვერქმია.

იგივე ბიზნესის წართმევები ხომ საოცრება იყო. იქიდან გადმოყოლილი ხალხი დღეს ბიუჯეტის ფულს ითვისებს, გადასახადებს არ იხდის, რაშიც კიდევ ხელისუფლებაა დამნაშავე.

***– ნაცები და ევრონაცები ეუბნებიან ხელისუფლებას, გადასახადები დასწიეთო. მგონი, გადასახადების საერთოდ გაუქმებასაც კი ურჩევენ.***

– მაშინ სახელმწიფოც დავხუროთ და ქვეყანა ამერიკის ერთ-ერთ შტატად ან კოლონიად გამოვაცხადოთ. მაშინ, კი ბატონო. რეზერვაციაში ასეა. რეზერვაციებში გადასახადებს არ იხდიან. ამერიკაში, ამ ვითომ სუპერდემოკრატიულ სახელმწიფოში, ინდიელების რეზერვაციები არსებობს. გლდანის ციხე რომ არის, ზუსტად ისეთი ღობე და მავთულხლართები აქვს შემოვლებული. ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მგონი, ისინი ბიუჯეტში გადასახადს არ იხდიან. პირიქით, მათ სახელმწიფო უხდის, რომ იყვნენ, სადაც არიან, გარეთ არ გამოვიდნენ. ასეთი მიდგომაა და არა ისეთი, ამერიკულ საზოგადოებაში მათი სოციალიზაცია და ადაპტაცია რომ მომხდარიყო. თუ გადასახადებსაც გავაუქმებთ, ჩავბარდეთ რეზერვაციად.

ნაცების ყოველი ახალი დღე ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლაა. სახელმწიფოებრივი აზრია იმის თქმა, ქვეყნისთვის ხომ არ სჯობს, გადასახადები მაქსიმალურად დავწიოთო? არა. ეს არის ახალი მავნებლური მოქმედება. ადამიანი, რომელიც საერთოდ არ ერკვევა ეკონომიკაში, თქვას, უი, რა კარგია გადასახადების შემცირებაო და, რადგან გადასახადები არ მცირდება, სახელმწიფოს წინააღმდეგ განეწყოს.

ყოველი მათი ვითომ წინადადება მავნებლობაა, რადგან ცდილობენ, ვიღაცის გონებაში ჩაიბეჭდოს, აი, ხომ ხედავთ, თურმე შესაძლებელია, სახელმწიფოში გადასახადები არ იყოსო. თუ ეს გვინდა, კი ბატონო, ასეთი რამ რეზერვაციაში არსებობს, თუ ჩვენ ჩვენს თავს რეზერვაციად ვაღიარებთ.

ამგვარ წინადადებებს ადამიანებისთვის ხელისუფლების შეძულებისა და ნებისმიერ ფასად ძალაუფლების დასაბრუნებლად იყენებენ. ხელისუფლებაში თუ დაბრუნდნენ, ნაცები მერე გადასახადებსაც ასწევენ და ისეთ რკინის რეჟიმსაც დაამყარებენ, როგორიც ადრე გვქონდა – საქართველოს, ფაქტობრივად, მავთულხლართები ჰქონდა შემოვლებული.

სააკაშვილის დროს სუფთა კოლონიალური პერიოდი გვქონდა. რაღაც შენდებოდა, რასაც უცხოეთს აჩვენებდნენ, შიგნით კი ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასიც არ ღირდა. ნულოვანი ტოლერანტობით ახალგაზრდების ხოცვითა თუ საავადმყოფოებში დაუფინანსებლობის გამო ადამიანების დაღუპვით ერი ნადგურდებოდა.

***– ახალგაზრდები იყვნენ და, ალბათ, ეგონათ, ხელისუფლებაში ბრეჟნევის ასაკამდე იქნებოდნენ.***

– ნაცებმა ადამიანის დაშინებისა და დაჩმორების საშინელი მეთოდი გამოიყენეს. დაჩმორებაში მეც მოვხვდი, ხმას ვერ მიღებდი. მობილური სადაც იდო, იქ ვერ ვლაპარაკობდი. საერთოდ არ ვლაპარაკობდი. ყველა დაშინებული ჰყავდათ. ეგონათ, დაშინების მათი მეთოდები სამუდამოდ გაჭრიდა.

***– დღეს ეს ხალხი გვეუბნება, ჩვენ უკვე გამოცდილი ვართ და სახელმწიფოს მართვა უკეთ ვიცითო.***

– კი, გამოცდილები არიან, ახლა გაიზარდნენ კიდეც, მაგრამ მათი ბოროტება კი არ იკლებს, უფრო იმატებს. ძალაუფლება რომ დაიბრუნონ და მიეცეთ საშუალება, ბიძინა ივანიშვილისნაირი თუ გამოჩნდება, მაშინვე მოკლავენ, არ აცოცხლებენ, რათა ოდესმე მათი შეცვლა აღარავინ იფიქროს.

***– ყველაფრის მიუხედავად, არჩევნებში მონაწილეობენ. ნათელაშვილთან შეკრებილი ოპოზიცია დღეს ცდილობს, მაჟორიტარული ოლქები გაინაწილოს. მათ მაჟორიტარულ ოლქებში წამატების იმედი აქვთ. გგონიათ, ვერაფერს მიაღწევენ?***

– დასავლეთის თვალში არჩევნებში მონაწილეობენ. ვითომ თმობენ, მაგრამ მათი ბუნება ძალადობრივია. ნათქვამია, გველი ტყავს იცვლის, სულს – არაო. მათი ბუნება ასეთია. თუ მაჟორიტარულს დაუთმობენ ვინმეს, იქ პროპორციულიდან წაიღებენ, რადგან, რეალურად, მანდ წამყვანი, ორთქლმავალი ნაცმოძრაობაა – იგივე ინტელექტუალური, მაგრამ ურეიტინგო გიგა ბოკერია, რომელიც მათი იდეოლოგია, თუმცა ამომრჩევლის მხარდაჭერა აშკარად ძალიან დაბალი აქვს. ამიტომ აქ საუბარია ნაცმოძრაობის ელექტორატზე.

# ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილი „ოცნებისგან“ მართულ ჯგუფებს ქმნის“

## „ხელისუფლება ინფექციის მეორე ტალღასაც სარფიანად გამოიყენებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას**

***– ხელისუფლებამ კორონაკრიზისი სათავისოდ გამოიყენა. დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ხალხში უკმაყოფილება იზრდება. თავდაჯერებული არც თვითონ ხელისუფლებაა, თუმცა ამას არ იმჩნევს. თქვენ როგორ აფასებთ ვითარებას?***

– მდგომარეობა უმძიმესია. ადამიანებმა დახარჯეს დანაზოგი, რაც ჰქონდათ. ახლა ისინი ყველაფრის გარეშე დარჩნენ. ფასები სულ იზრდება. ხალხს შვილებისთვის ხილი ვერ უყიდია. არც ისაა სწორი, რომ ამბობენ, ყველაფერი გაიხსნაო. მაღაზიები ყველაფერი არ არის. სავაჭრო წერტილების, ტრანსპორტისა და ადმინისტრაციული ერთეულების გარდა, თითქმის ყველაფერი ისევ ჩამკვდარია. მდგომარეობა გაუსაძლისია ბევრი კუთხით. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ხელისუფლებას არ უნდა მიეღო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა დირექტივა. სხვებს ამ მხრივაც გადავამეტეთ. კომენდანტის საათის შემოღება მეტისმეტი იყო. თითქოს, ამ კომენდანტის საათისა ვირუსს შეეშინდებოდა! საქართველოში დაავადების ისეთი მასშტაბები არ ყოფილა, რომ ასეთი მკაცრი ზომები მიეღოთ. ყველაფერი ჩაკეტეს, გააჩერეს. ამის გამო ადამიანები შიმშილის წინაშე დააყენეს. სახელმწიფოს დახმარებები მიზერულია და ძალიან ცოტას ეხება.

***– ბევრს საუბრობენ ინფექციის მეორე ტალღაზე. არადა, ჯერ პირველს არ ჩაუვლია.***

– კორონავირუსის მეორე ტალღაზე საუბარი უპასუხისგებლობაა. ამას თავისი ახსნა აქვს. ქვეყნის ხელისუფლებას პირველი ტალღა გაუტკბა. ის გაგრძელებას ელოდება. ხელისუფლება ინფექციის მეორე ტალღასაც სარფიანად გამოიყენებს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ამ ინფექციის საბაბით საქართველოში დიდი თანხები შემოვიდა. ჩვენ, საზოგადოება, მათ ვერ ვაკონტროლებთ. თუმცა, ვიცით, რომ მათი ნაწილი მიმართეს ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების, ბიზნესმენებისკენ. მაგალითად, სახელწიფო რიცხავდა ფულს სასტუმროებში, სადაც კარანტინი იყო მოწყობილი. ახლა, ეტყობა, ხელისუფლება ხალხს მორიგი მკაცრი კარანტინისთვის ამზადებს. ამაში მას სხვები ეხმარებიან. კერძოდ, ექიმები. საგანგებო მდგომარეობის პირველ დღეებში საზოგადოება ამ მედიკოსებს აქებდა და მადლობას უხდიდა, ახლა კი მათ „კლასტერები“ და „მეკუბოვეები“ შეარქვეს.

***– ზოგი ახლაც აქებს.***

– ძირითადად, დამოკიდებულება შეცვლილია. ეკლესიაში წაუსვლელობისკენ რომ მოუწოდებდნენ, ეს ექიმები ადამიანებს, ეკლესიის კლასტერითა და კუბოებით აშინებდნენ, მათ უკან მაშინ პრემიერ-მინისტრი და ჯანდაცვის მინისტრი იდგნენ. იმ ბრიფინგის ფოტოებზე ეს კარგად ჩანს. სამწუხაროა, რომ მედიცინის მუშაკები ხელისუფლების თამაშში ჩაებნენ და მათთვის ხელსაყრელ განცხადებებს ავრცელებენ, ხალხს აშინებენ. ხალხს აღარც ამათი განცხადებების სჯერა და აღარც კორონავირუსის შიში აქვს. უკვე ყველამ გაიგო, რომ შეზღუდვებით მიყენებული ზარალი იმაზე ბევრად დიდია, ვიდრე შეიძლებოდა ის დაავადებას მოეტანა. მსოფლიოში ბევრმა მოიხადა კოვიდ 19. ეს ინფექცია მსუბუქი გრიპივით, ან უსიმპტომოდ მიმდინარეობდა. საზოგადოებამ შეიტყო, რომ ეს იყო დიდი აფიორა. აშშ-ის პრეზიდენტმა ამის გამო შეუწყვიტა დაფინანსება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას.



***– საქართველოში ეკონომიკის კიდევ ერთი პარალიზება რას მოიტანს? გაუძლებს ამას ქვეყანა?***

– ვერ გაუძლებს, მაგრამ ხელისუფლებას ხომ ეს არ აღელვებს?! ამას ჰყავს თანამოაზრეები მედიკოსებსა და მედიაში. პარლამენტის გადაწყვეტილებით, შეზღუდვების მიღება მთავრობას დამოუკიდებლად შეუძლია.

***– ეს 15 ივლისამდე იმოქმედებს.***

– ჯერჯერობით, 15 ივლისამდეა, მერე შეიძლება გააგრძელონ. პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ იმდენი დეპუტატი კი ჰყავს, რომ კანონი გაიტანოს. თუ ხალხმა შეზღუდვებზე ხმა არ ამოიღო, ამას გააკეთებენ.

***– სამოქალაქო აქტივისტები აქციებს არ გამორიცხავენ. მათი თქმით, საპროტესტოდ უამრავი საკითხი დაგროვდა.***

– თქვენი პოპულარული გაზეთის მეშვეობით ადრეც მითქვამს, რომ ხალხი შიმშილის ზღვარზეა და შეიძლება ამის გამო სტიქიური გამოსვლები მოხდეს. როცა ასეთი კრიტიკული მდგომარეობაა, ამით შესაძლოა ისარგებლონ პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომლებსაც აწყობთ არეულობა და დესტაბილიზაცია. მათ აღელვებთ თავისი პოლიტიკური მომავალი. მე ვსაუბრობ სტიქიური პროტესტის საშიშროებაზე, გულწრფელ, გამწარებულ ადამიანებზე, რომლებიც ხელისუფლებამ სახლებში გამოკეტა და აშიმშილა. ქართველი კაცი მომთმენია, მაგრამ თუ წყობიდან გამოიყვანეს, ღვარცოფსა და ნიაღვარს მოაწყობს და ამერიკაში რომ აქციებია, ის მონაგონი იქნება.

***– საარჩევნოდ სულ უფრო პოპულარული ხდება სლოგანი „არც ნაცმოძრაობა, არც „ოცნება“. უმრავლესობიდან გამოსული პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატებიც (მათ პარტია შექმნეს) ამას ამბობენ, „ლელოც“, პატრიოტთა ალიანსიც, ალეკო ელისაშვილიც.***

– „არც ნაცები, არც „ქოცები“ – ამ ლოზუნგს ჩვენ და ჩვენი თანამოაზრეები თავიდანვე ვაყენებდით. ჩვენ ასევე ყოველთვის ვსაუბრობდით ახალი, ჯანსაღი გაერთიანებული ძალის შექმნაზე. ხალხში საამისო მოთხოვნაა. „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ შეიგნეს, რომ რეიტინგი არა აქვთ. ნაცებისთვის ნაცმოძრაობა ოდიოზური ორგანიზაციაა. „ოცნების“ მიმართ ნდობა კი დღითიდღე იკლებს. ისინი კვლევებს ატარებენ. საჯაროდ სხვა მონაცემებს დებენ. ასეთი სიტუაციიდან გამოსავალს ეს პარტიები სხვა მართული ჯგუფების შექმნაში ხედავენ. ბიძინა ივანიშვილი შუშის სასახლეში თუ აგარაკებზე დაკავებულია ახალი ძალების შექმნით და ძალების დაქსაქსვით.

***– გინდათ თქვათ, რომ დასახელებულ ალტერნატივებში ასეთები არიან?***

– რასაკვირველია. ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც ადრე იყო დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან ან „ქართულ ოცნებასთან“, არ არის დამოუკიდებელი. ხალხს ასეთების არ სჯერა. არიან პოლიტიკოსები, რომლებიც „მოქალაქეთა კავშირიდან“ მოდიან. ახალ მათ ვინ დაუჯერებს“?! ელისაშვილი და უსუფაშვილი რომელ პარტიას დაირქმევენ, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ისინი პოლიტიკური ჭაობიდან ვერ გამოვლენ. ისინი მუდმივად ტრიალებენ ქართულ პოლიტიკაში და არიან მართულები.

***– უსუფაშვილი დიდი ხანია, პოლიტიკაშია, მაგრამ ელისაშვილი ახალი სახეა და იმედისმომცემ პოლიტიკოსად ითვლება.***

– უსუფაშვილს მეტი სტაჟი აქვს. ელისაშვილი კი დღეს არ გამოჩენილა. ის ფინანსდებოდა ივანიშვილისგან მაშინაც, როცა თბილისის საკრებულოში შეჰყავდათ და მაშინაც, როცა მერად იყრიდა კენჭს. ახალ რატომ უნდა დავიჯეროთ მისი დამოუკიდებლობა?! უმრავლესობიდან გამოსულ დეპუტატებზეც იმავეს თქმა შეიძლება. ისინი არ არიან დამოუკიდებლები. ეს არ არის არც ოპოზიცია და არც ე. წ. მესამე ძალა. ხალხმა ბევრი რამ იცის. კოაბიტაციას, ნაცქოცურ ვირეშმაკობებს, მათ ხრიკებსა და პოლიტიკურ გარიგებებს ყავლი გაუვიდა. ასევე ყავლი გაუვიდათ ჭაობში მყოფ მობეზრებულ პოლიტიკოსებს. საზოგადოებას სხვა ძალის მოლოდინი აქვს, მაგრამ ამ სხვაში „ქართული ოცნებიდან“ და ნაციონალური მოძრაობიდან გამოსული ჯგუფები არ იგულისხმება. ხალხი ამ სიტუაციას სწორად შეაფასებს და მართულ ჯგუფებს ხმას არ მისცემს.

# პროკურორი: „ცოტნე გამსახურდიას ჩვენებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული“

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობის ფაქტზე თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

როგორც საქმის პროკურორმა მარიკა გოგოხიამ სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ დრომდე მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა.

მარიკა გოგოხიას განცხადებით, გამსახურდიას ჩვენებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული.



– თბილისის საქალაქო სასამართლოში ცოტნე გამსახურდიას დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ამავე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე სისხლის სამართლის არსებითი განხილვა დაიწყო. დღეს, ორივე მხარემ შესავალი სიტყვები წარმოვთქვით. მომდევნო სხდომიდან ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა დაიწყება და მოწმეების დაკითხვას დავიწყებთ. ბრალდების მხარეს არაერთი მტკიცებულება აქვს, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში 11 ტომად შევიდა, შესაბამისად, არაერთი მტკიცებულება გვაქვს და გონივრული მოლოდინი, რომ სასამართლო ოთხივე პირის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს. ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა დღემდე ძალიან მძიმეა, ის თურქეთის რესპუბლიკის კლინიკაში იმყოფება, დღემდე გადის მკურნალობას და რებილიტაციის კურსს. გამოძიების ეტაპზე მისი მოწმის და დაზარალებულის სტატუსით გამოკითხვა ვერ მოხერხდა.

თუკი, შემდეგში, სასამართლო განხილვის ეტაპე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ის აუცილებლად დაიკითხება და, რა თქმა უნდა, მის ჩვენებაზე ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული, – განაცხადა გოგოხიამ.

# „მთელი ცხოვრება ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ გავატარე“

## ალექსანდრე ივანოვს ბრალი დაუმძიმდა



ვარკეთილში პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული ალექსანდრე ივანოვის განცხადებით, ის მთელი ცხოვრება ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა და აღნიშნულიდან გამომდინარე მას ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა.

ამის შესახებ მან 8 ივნისს სასამართლო პროცესზე განაცხადა.

– ძალიან მრცხვენია. დედა ხუთჯერ „რეციდივისტზე“ გათხოვდა, რომელმაც ისეთი მონაწილეობა მიიღო ჩემ აღზრდაში, ხან დალურჯებული ვიყავი, ხან სულ შიშში გავატარე. ამ სტრესიდან გამომდინარე ფსიქიკური აშლილობა მქონდა. სულიერი მდგომარეობა არ მქონდა კარგად, ამას ვაღიარებ.

ვიცოდი, რომ ჩემი დალევა არ შეიძლებოდა, მთელი ცხოვრება ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ გავატარე. ვაღიარებ, რომ ჩემი სულიერი მდგომარეობის გამო მოხდა, რაც მოხდა. დამამშვიდებელ და დამაწყნარებლებს ვსვამდი, ვიცოდი, რომ დალევა არ შეიძლებოდა ჩემთვის, – განაცხადა ივანოვმა.

სასამართლოზე ალექსანდრე ივანოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რომან ხორავამ გამოაცხადა.

სხდომის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ალექსანდრე ივანოვს ბრალი დაუმძიმდა. საქმის პროკურორმა ნუგზარ ჭიტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ივანოვს პოლიციელებზე თავდასხმასთან ერთად, ხულიგნობასა და ოჯახში ძალადობასაც ედავებიან.

ჭიტაძის თქმით, ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობაზე გამოკითხული მოწმეები არ საუბრობენ, თუმცა, თავად ივანოვის მიერ სასამართლოში გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე, მას ექსპერტიზა ჩაუტარდება.

– რაც შეეხება ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს გამოძიების ეტაპზე უცნობია. არც ერთი გამოკითხული მოწმე არ ამახვილებს ყურადღებას მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, თუმცა, ბრალდებულის დღევანდელი სიტყვიერი გამოსვლიდან გამომდინარე, მის მიმართ აუცილებლად ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზა.

ბრალდებული ალკოჰოლური თრობის ზემოქმედების ქვეშ უმისამართოდ ისროდა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რითაც დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, უპატივცემულობა გამოხატა საზოგადოების მიმართ და ასევე, შეტყობინების საფუძველზე გასულ პოლიციის თანამშრომლების სამსახურებრივ ავტომანქანას გაუხსნა ცეცხლი.

მას ასევე ბრალი ედება მეუღლის მიმართ განხორციელებული სისტემატური შეურაცხყოფისთვის, რამაც მისი მეუღლის ტანჯვა გამოიწვია.

ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე, 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, ასევე 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ხულიგნობას, ასევე ოჯახში ძალადობას და პოლიციელზე თავდასხმას, – განაცხადა პროკურორმა ჭიტაძემ.

5 ივნისს, თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, 1975 წელს დაბადებულმა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ალექსანდრე ივანოვმა ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს დახვდათ საკუთარ საცხოვრებელ სახლში ჩაკეტილი მოქალაქე, რომელიც ამავე სახლის ფანჯრიდან, მეზობლების თანდასწრებით, მის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებას ახდენდა და უმისამართოდ ისროდა, რითაც უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს.

რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებების შედეგად, ალექსანდრე ივანოვი დაემორჩილა სამართალდამცველების მოთხოვნას და საცხოვრებელი სახლი დატოვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ის ადგილზე დააკავეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

# „გიორგი რურუამ დღეს პირველად ნახა იარაღი, რომლის ქონასაც ედავებიან“

## ადვოკატის განცხადება

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის გიორგი რურუას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის განმარტებით, გიორგი რურუამ 8 ივნისს პირველად ნახა იარაღი, რომლის ქონასაც მას ედავებიან.

როგორც საძაგლიშვილი განმარტავს, აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდთან და ვაზნებთან ერთად არის ჩადებული.

– დღეს, როგორც იქნა, ვნახეთ და მათ შორის გიორგიმაც პირველად ნახა ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის გამოც 7 თვეზე მეტია პატიმრობაში იმყოფება. ასევე აღმოვაჩინეთ, რომ იარაღის მჭიდზე დატანილია ნომერი. ეს ნომერი ჩხრეკის ოქმში უნდა ყოფილიყო მითითებული, სადაც არ არის, მაგრამ 10-ლარიანი კუპიურის ნომერი გვხვდება, რომელიც გიორგის თან ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ჩადებულია მჭიდთან და ვაზნებთან ერთად.



ასევე, გამოვიკვლიეთ გიორგი რურუას ტანსაცმელი, არც შარვალი და არც მაისური იმ შემადგენლობის არ აღმოჩნდა, რაც ხელს შეუშლიდა მასზე ლითონის კვალის გადასვლას. შესაბამისად, საქმეში არსებული საექსპერტო დასკვნა მეტალიზაციასთან დაკავშირებით ცალსახად ადასტურებს, რომ გიორგი რურუას ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონია. ერთადერთი, რასაც მეტალიზაციის კვალის გადასვლაში ხელი შეიძლება შეეშალა, აბრეშუმის შარვალი და მაისური იქნებოდა, თუმცა, მისი სამოსი ბამბის იყო და მასზე, ექსპერტის თქმით, მეტალიზაციის კვალი ადვილად გადადის.

გიორგი რურუამ პირველივე დღეს თქვა, რომ მას იარაღი კი არ ჩაუდეს და კი არ ამოუღეს, მას უბრალოდ უთხრეს, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, ისე რომ, მისთვის შორიდანაც კი არ დაუნახებიათ ეს იარაღი. დღეს იყო პირველი დღე, როცა მას მიეცა შესაძლებლობა, ენახა ნივთი, რომლის გამოც, 7 თვეა, პატიმრობაში იმყოფება, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

შემდეგი სასამართლო პროცესი 10 ივნისს, 10:30 საათზე დაიწყება.

# თბილისსა და ქვემო ქართლის რეგიონში სიჩქარის კონტროლის 6 ახალი სექცია ამოქმედდა



საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისსა და ქვემო ქართლის რეგიონში, რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საავტომობილო სიჩქარის კონტროლის 6 ახალი სექცია ამოქმედდა:

1. თბილისი, ზემო ფონიჭალა – მარნეულის გზატკეცილის საავტომობილო გზის 1-ელი კილომეტრიდან მარნეულის გზატკეცილის საავტომობილო გზის მე-3 კილომეტრამდე (ლევან ღოღობერიძის ქუჩის კვეთამდე), ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ;

2. თბილისი, ზემო ფონიჭალა – მარნეულის გზატკეცილის საავტომობილო გზის მე-3 კილომეტრიდან (ლევან ღოღობერიძის ქუჩის კვეთიდან) მარნეულის გზატკეცილის საავტომობილო გზის 1-ელ კილომეტრამდე, ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ;

3. რუსთავი – თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 21-ე კილომეტრისა და ნიკო ლომოურის ქუჩის კვეთიდან – ნიკო ლომოურის ქუჩის №1-მდე (შოთა რუსთაველის ძეგლის მიმდებარედ), ნებადართული სიჩქარეა 40 კმ/სთ;

4. რუსთავი – ნიკო ლომოურის ქუჩის №1-დან (შოთა რუსთაველის ძეგლის მიმდებარედ) თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 21-ე კილომეტრისა და ნიკო ლომოურის ქუჩის კვეთამდე, ნებადართული სიჩქარეა 40 კმ/სთ;

5. რუსთავი – თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 21-ე კილომეტრიდან თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 22-ე კილომეტრამდე, ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ;

6. რუსთავი – თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 22-ე კილომეტრიდან თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 21-ე კილომეტრამდე, ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ.

სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით სულ, საქართველოს მასშტაბით, უკვე 982 კმ სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება.

# გორში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

გორში, კომბინატის დასახლებაში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს. შემთხვევა 7 ივნისს, დაახლოებით 18 საათზე მოხდა.

ადგილობრივების თქმით, სავარაუდოდ, მამაკაცი მხარშია დაჭრილი.

– ბიჭი, სავარაუდოდ, ძაღლთა თავშესაფრის მიმდებარე ტერიტორიასთან დაჭრეს. ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული. როგორც ვიცი, პოლიციამ დამნაშავეც დააკავა, – თქვა ადგილობრივმა.

დაჭრილ მამაკაცს „გორმედის“ კლინიკაში ოპერაცია გაუკეთდა.

– ახალგაზრდა მამაკაცს მხარის მიდამოში აღენიშნება ჭრილობა. პაციენტს ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია, კერძოდ, მხარის არტერიის პლასტიკა რევერსირებული აუტო-ვენით.




პაციენტთან გამოხატული იყო მძიმე ჰიპოგლიკემიური შოკი. ოპერაცია 5 საათის მანძილზე ტარდებოდა. ამჟამად პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება და მართვით სუნთქვაზეა გადაყვანილი. ამ ეტაპზე პაციენტის მდგომარეობა მძიმეა, – განაცხადა ექიმმა გიორგი გივიაშვილმა.

შს-სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

# რუსთავში მამაკაცმა რამდენიმე მაღაზია გაქურდა

რუსთავში მამაკაცმა რამდენიმე მაღაზია გაქურდა.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, 30 წლამდე მამაკაცმა მაღაზიებიდან: 2 ნაბიჯი, სპარი, ფენიქსი და სხვა სურსათის მაღაზიებიდან ძვირადღირებული სასმელები მოიპარა.

ქურდობის ერთი და იგივე ხელწერითა და კამერებში დაფიქსირებული კადრების მიხედვით, მალევე მოხდა პირის იდენტიფიცირება.

მამაკაცი რუსთავის პოლიციამ მალევე დააკავა.

საერთო ჯამში, მამაკაცს დაახლოებით 1.000 ლარამდე ძვირადღირებული სასმელი ჰქონდა მოპარული.

# „ოცნების“ დეპუტატი გიორგი ჭინჭარაული 2 პირის დაჭრისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1 პირი – 1982 წელს დაბადებული გიორგი ჭინჭარაული დააკავეს.

გიორგი ჭინჭარაული სოფელ გამარჯვების საკრებულოს წევრია „ქართული ოცნებიდან“.

დაჭრილები ძმები არიან, ასევე ჭინჭარაულები.

შემთხვევა სოფელ გამარჯვებაში გვიან ღამით მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფლის ცენტრში სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა. მათივე თქმით, დაჭრაში სავარაუდო ბრალდებული თავს იცავდა და 40 წლამდე მამაკაცების მოგერიება ცივი იარაღით შეძლო.

რა გახდა დაპირისპირების მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 7-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1997 წელს დაბადებულ გ.ჭ.-ს და 1994 წელს დაბადებულ მ.ჭ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენა. დაჭრილები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სიეტლში პოლიციამ აქცია ძალის გამოყენებით დაშალა






სიეტლში სამართალდამცავებმა საპროტესტო აქცია მანათობელი ყუმბარებისა და ძალის გამოყენებით დაშალეს.

ფეისბუქში გავრცელდა ვიდეო კადრები, სადაც ისმის პოლიციელების ხმა, რომლებიც მომიტინგეებს აფრთხილებენ. კადრებში ჩანს თეთრი კვამლი და ისმის ხმაური. აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციის დაშლამდე სიეტლის პოლიციის დეპარტამენტმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში" გამაფრთხილებელი პოსტი გამოაქვეყნა.

აქციის დაშლამდე რამდენიმე საათით ადრე სიეტლის პოლიციამ მამაკაცი დააკავა, რომელიც ავტომობილით ხალხის მასაში შეიჭრა და ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დაიწყო. ინციდენტის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიჭრა.

მინეაპოლისის ქალაქის საკრებულოს წევრების უმეტესობა კი პოლიციის დეპარტამენტის დაშლასა და სამოქალაქო უსაფრთხოების ალტერნატიული მოდელის შექმნას უჭერს მხარს. აღნიშნულ ინიციატივას მხარი საკრებულოს ცამეტი წევრიდან ცხრამ დაუჭირა.

— ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ხალხს, განსაკუთრებით ჩვენს შავკანიან ლიდერებს, ჩვენი საზოგადოების ჯგუფებს, ვისთვისაც პოლიცია არ მუშაობს და ამ პრობლემების გადაწყვეტაც ჩვენს საზოგადოებაში უნდა ვეძებოთ, — განაცხადა მინეაპოლისის საკრებულოს პრეზიდენტმა ლისა ბენდერმა.

# გიორგი კეკელიძე: „პოლიტიკა არ არის ჩემი ასპარეზი"



აცხადებს მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე და არ მალავს, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები საკუთარ რიგებში იწვევენ, რაზეც პასუხად ყველა უარს იღებს:

— ადრეც არაერთხელ მითქვამს და რადგანაც ამ ბოლო დროს ხშირად მეკითხებიან, ვარ თუ არა დაინტერესებული პოლიტიკით, ბარემ, ცხად და საბოლოო პასუხს გავცემ — არა. პოლიტიკაში ამ სიტყვის პოპულარულ გაგებას ვგულისხმობ, თორემ ზოგადი აზრით, ადამიანები პოლიტიკური ცხოველები ვართ.

მაქვს თუ არა შემოთავაზება, დიახ, არაერთი და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფებისგან. ჩემი პასუხი იცით — ცხადია, სრულიად გულწრფელი მადლობა შემჩნევისთვის, მაგრამ „არა!" და „არა" არა იმიტომ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, ბინძური მხოლოდ მაშინ არის, თუ მას ცუდი ადამიანები მოირგებენ. და „არა" არა იმიტომ, რომ მე ვინმეზე მაღლა ვდგავარ. უბრალოდ სხვა ვნება მაქვს, სხვა ინტერესები. იქ, სადაც ვმუშაობ, მგონი, რომ საჯარო მოხელის სტანდარტი ამ მხრივ მაინც შემოგთავაზეთ, ვიმუშავე სხვადასხვა ხელისუფლებასთან და განსხვავებული პარლამენტის თავმჯდომარეებთან, ერთხელაც ვერ დაძებნით ჩემს სახელისუფლო ან სხვა პარტიათა სასარგებლო მოქმედებას. ვარ ჩემი ქვეყნის პატრიოტი მოქალაქე და მაქვს დაუფარავი აზრი სხვადასხვა საკითხის მიმართ, ეს ხან ერთს აწყობს, ხან მეორეს, მაგრამ ამის მიხედვით არასდროს დამიწყვია ფიქრი.

ვარ მწერალი და ვფიქრობ, ყველაზე მეტად იმ პროფესიის ხალხს არ უხდება ვინმეს ლიქნა, ვისაც დამკვირვებელი და ამ დაკვირვების სხვისთვის განმდობი ჰქვია. გავიარე არაერთი საცდური და ბეწვის ხიდი, გარედან ყველაფერი სხვაგვარია, შიგნიდან კი სხვანაირად დუღს.

მოკლედ, პოლიტიკა არ არის ჩემი ასპარეზი. ისედაც უამრავ საქმეს მოვედები და სამის დამატება განვიზრახე: კინო, ფოლკლორი და სოფლის მეურნეობა. პირველი ეკრანთან და წიგნებთან ყოფნას მოითხოვს, მეორე — ხალხთან და მესამე — მიწასთან. ეს არის კიდეც ჩემი გზა და „პოლიტიკა".

ჰო, ცოტა ფოტოხელოვნებაც.

მაქვს ჟინი, რომ უკეთესი ქვეყანა გვქონდეს, ნაკლები სიძულვილით და მეტი შრომით. თავისუფლებით, რომელიც ფიქრში ვარჯიშს ეფუძნება, ფიქრში ვარჯიში კი განათლებას მოითხოვს. აი, მანდ კი გეგულებოდეთ.

# დიდ ბრიტანეთში ჩასულ პირებს 14-დღიანი კარანტინის გავლა მოუწევთ




8 ივნისიდან იმ პირებს, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ჩავლენ, 14-დღის განმავლობაში თვითიზოლაციის წესების დაცვა მოუწევთ.

ქვეყანაში როგორც საჰაერო, ასევე სახმელეთო და საზღვაო გზით ჩასული მგზავრები, მათ შორის დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები, ვალდებული იქნებიან, შეავსონ ონლაინ ფორმა და დატოვონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად იქნებიან ისინი თვითიზოლაციის პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ მათ, ვისაც არ აქვთ შესაფერისი ადგილი, სადაც კარანტინში ყოფნას შეძლებენ, მოუწევთ, სახელმწიფოს მიერ მოწყობილ სპეციალურ დაწესებულებებში 14 დღე საკუთარი ხარჯით გაატარონ.

რეგულაციების თანახმად, ახლად ჩამოსულებთან დაკავშირება ნებისმიერ დროს უნდა იყოს შესაძლებელი. 14 დღის განმავლობაში მათ საკვებისა და სხვა საჭირო ნივთების შესაძენად გასვლაც ეკრძალებათ.

იმ მისამართამდე კი, სადაც თვითიზოლაციაში უნდა იყვნენ, მოქალაქეები კერძო ავტომობილებით უნდა მივიდნენ და არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსებით.

ის პირები, რომლებიც თვითიზოლაციის წესებს დაარღვევენ, 1.000 გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდებიან.

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პრიტი პატელის განმარტებით, აღნიშნული რეგულაციების დაწესების მიზანი ქვეყანაში კორონავირუსის მეორე ტალღის გავრცელების თავიდან აცილებაა.

ახალი წესები არ შეეხებათ: საგზაო და სატვირთო გადაზიდვებში დასაქმებულ ადამიანებს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას ახორციელებენ, იმ პირებს, რომლებიც ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მისაღებად ჩადიან და ვიზიტი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი, ტრანზიტული რეისების მგზავრებს, რომლებსაც სასაზღვრო შემოწმება არ გაუვლიათ, სოფლის მეურნეობის დარგში სეზონურად დასაქმებულ ადამიანებს, თუკი ისინი თვითიზოლაციას დასაქმების ადგილებში გაივლიან და დიდი ბრიტანეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც საზღვარგარეთ სისტემატურად, სულ მცირე, კვირაში ერთხელ, გამგზავრება უწევთ თავიანთი სამსახურებიდან გამომდინარე.

ბოლო მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის 286.194 შემთხვევაა დადასტურებული, აქედან გარდაცვლილია 40.542 ადამიანი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბათუმში დავით კლდიაშვილის ბიუსტი შელახულია



ბათუმში მდებარე დავით კლდიაშვილის ბიუსტი შელახულია. ინფორმაცია და ფოტოები მწერლის ბიუსტის არასათანადო მდგომარეობის შესახებ ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

— დავით კლდიაშვილის ძეგლი ბათუმში, სილიკონით დაწებებული და მომძვრალი ჩუქურთმები.

სულ ვფიქრობ, რატომ გავხდით ასეთი უსინდისოები, უგულოები და გულგრილები საკუთარი ქვეყნის და წარსულის მიმართ?!

არც ვიცი, რომელი ხელისუფალის დროს დაიდგა ეს ძეგლი და არც მაინტერესებს, რადგან ასეთი წვრილმანები ხელისუფლებას ვერ დაუკავშირდება, არ შეიძლება უშუალოდ ხელისუფალმა ამოწმოს მსგავსი წვრილმანები, ასეთი დეტალები ხომ უშუალოდ მოქანდაკის, შემსრულებლის, ბრიგადირის, მუშის ანუ ჩვეულებრივი მოქალაქის სინდისამდე, მის პასუხისმგებლობამდე და პატრიოტიზმამდე დადის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# უცნობმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ადამიანები ცეცხლმოკიდებული მანქანიდან გამოიყვანა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ანდოვერის რაიონში უცნობმა მამაკაცმა ცეცხლმოკიდებული მანქანიდან ხალხი გამოიყვანა და აშკარა დაღუპვას გადაარჩინა.

ანონიმმა გმირმა გზის მოპირდაპირე მხარეს ავტოავარიის შემდეგ ალმოდებული ავტომობილი შენიშნა, მან ტრასა გადაირბინა და დაშავებულებს დაეხმარა. მალე მას ჰაროლდ გრიერი მიეხმარა, გზაზე მიმავალი კიდევ ერთი მანქანის მძღოლი. მომხდარი მისმა ვიდეორეგისტრატორმა გადაიღო.

მათ ერთობლივი ძალისხმევით ალმოდებული ავტომობილიდან მძღოლი და მგზავრი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გამოიყვანეს, ვინაიდან იმ მომენტისთვის ცეცხლი უკვე საწვავის ავზამდე იყო მიღწეული.

— მძღოლი ძალიან წვალობდა, ორივე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, — იხსენებს გრიერი. წინასწარი მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევა იმის გამო მოხდა, რომ საჭესთან მჯდომ მამაკაცს ჩაეძინა.

დაშავებულებმა მძიმე ტრავმები მიიღეს და ისინი საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილები. მამაკაცის სახელი, რომელიც პირველი მივიდა დაშავებულების დასახმარებლად, უცნობი დარჩა.

# ორმა ალიგატორმა ურთიერთობის გარკვევა ქალის სახლის წინ სცადა



ამერიკის ფლორიდის შტატის ფორტ-მაიერსის ოლქში ქალი მისი სახლის შესასვლელი კარის წინ ორი ალიგატორის დაპირისპირების თვითმხილველი გახდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გაავრცელა. სიუზან გეშელი დილით ყავას სვამდა, როდესაც სახლის შესასვლელიდან ხმაური შემოესმა. ის იმის სანახავად წავიდა, რათა ენახა, თუ რაში იყო საქმე და ორი უზარმაზარი ალიგატორი დაინახა, რომლებიც მისი სახლის კარის წინ ჩხუბობდნენ.

ქალმა მათი დაპირისპირება ვიდეოზე გადაიღო. ჩანაწერში მისი ხმა ისმის: „ისინი ჩხუბობენ, ღმერთო ჩემო, ისინი ჩხუბობენ. ერთი ახლახან დაესხა თავს მეორეს". ერთმა მეორეს ყბები ჩაავლო და კედელზე მიაკრა.

— მათ არეულობა ჩემი სახლის წინ მოაწყვეს, — აღნიშნა ქალმა.

გეშელმა ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში გამოაქვეყნა, რომელმაც მცირე დროში 40 ათასამდე ნახვა და უამრავი კომენტარი მიიღო.

# 101 მილიონი ფუნტის მომგები ცოლ-ქმარი გაკოჭეს და გაძარცვეს




ინგლისის აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოს დასახლება ეტჩინგემის მკვიდრი ცოლ-ქმარი, რომელმაც ლატარიაში 101 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, გაძარცვეს.

2011 წელს დევიდ დოუსმა და მისმა მეუღლემ ანჟელამ ლატარიაში ევრომილიონი ჯეკპოტი 101.203.600 ფუნტი სტერლინგი მოხსნეს. ამ მოგების შემდეგ იღბლიანი ცოლ-ქმარი საცხოვრებლად მდიდრულ სახლში გადავიდა. სწორედ იქ მოხდა მათი გაძარცვა. 56 წლის დევიდს სახეში ჩასცხეს, ხოლო 52 წლის ანჟელას ხელები მავთულით შეუკრეს.

ბოროტმოქმედებმა ძვირფასეულობა და რენჯ როვერის მარკის ავტომობილი გაიტაცეს, რომელშიც იმ მომენტში 20 ათასი ფუნტი სტერლინგი იდო. მოგვიანებით პოლიციამ მანქანის დამწვარი ჩონჩხი აღმოაჩინა.

ძარცვის შემდეგ სახლის მთელ პერიმეტრზე დინამიკებიანი სათვალთვალო კამერები დააყენეს, ქურდების დასაფრთხობად. გამოძიების მიმდინარეობისას სამი ეჭვმიტანილი იქნა დაკავებული, თუმცა შემდეგ გაუშვეს, საქმე კი მტკიცებულებების ნაკლებობის გამო დახურეს.

ცოლ-ქმარმა მომხდარზე კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქურდებმა ღვინის მაღაზიაში გვირაბი გათხარეს



სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში ქურდებმა კორონავირუსის პანდემიის გამო დაკეტილ ღვინის მაღაზიაში გვირაბი გათხარეს და მნიშვნელოვანი რაოდენობის ალკოჰოლური სასმელები მოიპარეს.

ქურდობა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის ორთვიანი აკრძალვის მოხსნის წინა დღეს შენიშნეს. მაღაზიის თანამშრომელმა ქალმა, რომელიც ადგილზე მისი გახსნისთვის მოსამზადებლად იყო მისული, იატაკში გაკეთებული გასასვლელი აღმოაჩინა. როგორც გაირკვა, ბოროტმოქმედებმა მიწისქვეშა სანიაღვრე გვირაბის გამოყენებით მაღაზიამდე მიაღწიეს, შემდეგ ბეტონის იატაკი გამოანგრიეს და სავაჭრო დარბაზში შეაღწიეს.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერმა აჩვენა, რომ პირველად ქურდებმა მაღაზიაში 21 მაისს შეაღწიეს. სავაჭრო დარბაზში სამი ადამიანი იმყოფებოდა, თუმცა მიწისქვეშა გასასვლელში შესაძლოა მათ თანამზრახველები უცდიდნენ. ბოროტმოქმედები რამდენჯერმე დაბრუნდნენ მაღაზიაში და არაყის, ვისკის, ბრენდის, სიდრა და ლუდის მარაგები გაზიდეს, რომელთა ფასმა 300 ათასი რენდი შეადგინა.

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს", რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

## მამაკაცს ხმა ჩაესმა და გამდიდრდა



ინგლისის უესტ-მილენდის საგრაფოს ქალაქ ქოვენთრიში მამაკაცმა ლატარიის ბილეთი მას შემდეგ იყიდა, როდესაც გონებაში ხმა ჩაესმა, რომელიც ამის გაკეთებას ურჩევდა.

31 წლის ელექტრიკოსი საიმონ უოდაპი მაღაზიაში საყიდლებზე იმყოფებოდა. ის ამტკიცებს, რომ ხმამ გონებაში ლატარიის ბილეთის ყიდვა და გათამაშებაში მონაწილეობა ურჩია. ბრიტანელმა 2,5 ფუნტად ორი ცალი ლატარიის ბილეთი შეიძინა. მანამდე მას არასოდეს მიუღია მონაწილეობა მთავარ გათამაშებებში და მხოლოდ მომენტალური ლატარიის ბილეთების ყიდვით შემოიფარგლებოდა.

მეორე დღეს, დილით უოდაპმა საკუთარი ტელეფონი შეამოწმა და ნახა, რომ ეროვნული ლატარიიდან შეტყობინება ჰქონდა მიღებული. აღმოჩნდა, რომ მას ჯეკპოტი, მილიონი ფუნტი სტერლინგი ჰქონდა მოგებული. იმისთვის, რომ მოგებაში დარწმუნებულიყო, ბრიტანელმა ცხელ ხაზზე დარეკა.

– პირველი, ვისაც მოგების შესახებ ვუთხარი, ჩემი ათი წლის გოგონა იყო. მან კი მკითხა, შეძლებდა თუ არა პასპორტის მიღებას. მას მხედველობაში ის ჰქონდა, რომ არასოდეს ყოფილა საზღვარგარეთ. შემდეგ დედას და დას დავურეკე და მათ არ დამიჯერეს, – განაცხადა ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა.

უოდაპს იმედი აქვს, რომ მოგებული თანხა ბავშვობის ოცნების ასრულებაში დაეხმარება და ძველი სახლების რეკონსტრუქტორი გახდება – იყიდის ძველ უძრავ ქონებას, აღადგენს მათ და გაყიდის.

## საკანალიზაციო ჭაში ჩავარდნილი ქალი დახმარებას რამდენიმე დღე ელოდა



ამერიკის ტეხასის შტატის ჰარისის ოლქში ქალი საკანალიზაციო ჭაში ჩავარდა და რამდენიმე დღის მიწისქვეშ გატარება მოუხდა.

ქალი, რომლის სახელი უცნობია, სამშენებლო მოედანზე საკანალიზაციო ჭაში სამშაბათს ნახეს. სამაშველო ოპერაციაში რამდენიმე საოლქო პოლიციელი და მეხანძრეთა ბრიგადა მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ქალს დახმარების ცდა რამდენიმე დღე მოუხდა.

თავდაპირველი შემოწმების შედეგად ქალს დაზიანებები და სხვა რაიმე სახის ჯანმრთელობის პრობლემები არ დაუდგინდა.

პოლიცია ცდილობს იმის დადგენას, თუ რა პირობებში აღმოჩნდა ქალი სამშენებლო სამუშაოების ზონაში და როგორ მოხდა აღნიშნული ინციდენტი.

## მეთევზემ უზარმაზარი ლოქო ჭიაყელით დაიჭირა



ამერიკის ტენესის შტატში მეთევზემ უზარმაზარი, 47 კილოგრამიანი ლოქო დაიჭირა.

დევიდ ანდერსონი წყალსატევზე დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე მივიდა, ნემსკავზე ჭიაყელა წამოაცვა და ანკესი წყალში გადააგდო. მას თითქმის სამი საათის ლოდინი დასჭირდა, ვიდრე ანკესზე თევზი წამოეგებოდა. როდესაც შუა ღამის დადგომამდე 15 წუთი იყო დარჩენილი, თევზი სატყუარაზე წამოეგო.

– ის მას კი არ ქაჩავდა, არამედ ხელიდან გამოგლეჯვას ცდილობდა, – ყვება მეთევზე, – ანკესი მოვქაჩე და მისი მოზიდვა დავიწყე.

ანდერსონი მაშინვე მიხვდა, რომ ანკესზე საკმაოდ მსხვილი თევზი წამოეგო და მისი ვიდეოთი ფეისბუქ ლაივში ტრანსლირება დაიწყო. ლოქოსთან მისი ორთაბრძოლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, შემდეგ მეთევზე წყალში შევიდა და თევზი სპეციალური მოწყობილების დახმარებით ხმელეთზე ამოიყვანა. აწონვის შემდეგ ლოქო წყალში დააბრუნეს. შტატის რეკორდის დასამყარებლად ანდერსონს სამი კილოგრამი დააკლდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბენევენტოს შიში — იტალიაში კორონავირუსს მალავენ



იტალიის ჩემპიონატი ჯერ არ განახლებულა, მაგრამ იქაური მედია შესაძლო შეთქმულების თეორიაზე წერს. ამ თეორიის „ავტორი“ სერია ბ-ს ლიდერი ბენევენტოა.

ცოტა შორიდან დავიწყოთ: იტალიაში შეჩერებული ჩემპიონატი განახლების პროცესშია. აპენინებზე, სხვა დიდ ევროპულ ქვეყნებზე მკაცრი რეგულაციებია – ვირუსის დადასტურების შემთხვევაში, კარანტინში მთელი გუნდი უნდა წავიდეს და არამხოლოდ ინფიცირებული. თუ ასე მოხდა, ჩემპიონატი, ფაქტობრივად, ჩაიშლება.

გადავიდეთ მეორე საკითხზე: პარასკევს კლუბებმა კენჭი უყარეს და შეთანხმდნენ, რომ თუ ჩემპიონატი ჩაიშლება, შედეგები საერთოდ ანულირებული იქნეს.

სწორედ ეს აღელვებს ბენევენტოს და აცხადებს, რომ სერია ა-ს ორი გუნდი კლუბში არსებულ კორონავირუსს მალავს, რათა ჩემპიონატის განახლების შემდეგ, ეს ინფორმაცია გაამხილოს და ტურნირი ჩაშალოს.

იტალიური მედია ფიქრობს, რომ ბენევენტოს ეჭვს საფუძვლის უფლება აქვს. საქმე ის არის, რომ სერია ა-ს აუტსაიდერებს, რომელთაც დაქვეითება ემუქრებათ, ტურნირის განახლება არ სურდათ. მათ უნდოდათ, რომ წლევანდელი სეზონი ანულირებული ყოფილიყო და ამ გზით სერია ა-ში ადგილი შეენარჩუნებინათ.

ბენევენტოს შიშიც გასაგებია – გუნდი სერია ბ-ს 20 ქულიანი უპირატესობით ლიდერობს და შემდეგ სეზონში სერია ა-ში თამაში, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს. თუმცა, თუ ჩემპიონატი ჩაიშალა, ბენევენტოს ბედი გაურკვეველი იქნება. ქალაქის მერმა უკვე მოითხოვა სასწრაფო გამოძიების ჩატარება.

სერია ა-ს სატურნირო ცხრილის გასავარდნ ზონაში ამჟამად ლეჩე (25 ქულა), სპალ-ი (18) და ბრეშია (16) არიან.

## ბარსა კრიზისშია, ფეხბურთელები ხელფასს არ დაიკლებენ



ბარსელონა ფინანსურ კრიზისს განიცდის. ესპანური მედიის ცნობით, კლუბი ფეხბურთელებთან ხელფასების ხელახლა შემცირების თაობაზე მოლაპარაკებებს აგრძელებს.

კატალონიური კლუბი შემდეგ პირობებს სთავაზობს: მაისის ბოლო კვირის ხელფასის 70-პროცენტიან შემცირებას, ივნისის პირველი 2 კვირის ანაზღაურების კი 50-პროცენტიან დაკლებას.

ბარსას ფეხბურთელები კი, ხელფასების განმეორებით შემცირებაზე უარს ამბობენ.

შეგახსენებთ, რომ მარტის ბოლოს მოთამაშეები ხელფასების 70-პროცენტიან კლებას დათანხმდნენ, რათა კლუბს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული რთული ფინანსური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად დახმარებოდნენ. ამჟამად კი, საკუთარი ბიუჯეტის შეთხელება არ სურთ.

## შედეგები

### 7 ივნისი

**ფეხბურთი**

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-ვოლფსბურგი ............... 0:1
უნიონი-შალკე ............................ 1:1
აუგსბურგი-კიოლნი ..................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 22 | 4 | 4 | 90-30 | 70 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 19 | 6 | 5 | 81-35 | 63 |
| 3.ლაიფციგი | 30 | 16 | 11 | 3 | 75-32 | 59 |
| 4.ლევერკუზენი | 30 | 17 | 5 | 8 | 56-38 | 56 |
| 5.გლადბახი | 30 | 17 | 5 | 8 | 57-36 | 56 |
| 6.ვოლფსბურგი | 30 | 12 | 9 | 9 | 42-36 | 45 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 30 | 12 | 7 | 11 | 42-50 | 43 |
| 8.ფრაიბურგი | 30 | 11 | 8 | 11 | 39-41 | 41 |
| 9.ჰერტა | 30 | 10 | 8 | 12 | 43-51 | 38 |
| 10.შალკე | 30 | 9 | 11 | 10 | 35-47 | 38 |
| 11.კიოლნი | 30 | 10 | 5 | 15 | 47-57 | 35 |
| 12.აინტრახტი | 30 | 10 | 5 | 15 | 49-55 | 35 |
| 13.აუგსბურგი | 30 | 8 | 8 | 14 | 41-57 | 32 |
| 14.უნიონი | 30 | 9 | 5 | 16 | 35-53 | 32 |
| 15.მაინცი | 30 | 9 | 4 | 17 | 39-62 | 31 |
| 16.ფორტუნა | 30 | 6 | 10 | 14 | 33-60 | 28 |
| 17.ვერდერი | 30 | 6 | 7 | 17 | 30-63 | 25 |
| 18.პადერბორნი | 30 | 4 | 8 | 18 | 33-62 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ჰაიდენჰაიმი ................. 2:1
შტუტგარტი-ოსნაბრიუკი ............ 0:0
აუე-კარლსრუე ............................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ფერეირა ....................... 2:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ლინცერი .......... 3:3
ჰარტბერგი-ზალცბურგი ............. 0:6
რაპიდი-შტურმი ........................... 4:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-ოლიმპიაკოსი .................... 0:1
აეკი-პანათინაიკოსი .................... 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-ჩესკე ............................... 0:0
ოპავა-სლოვაცკო .......................... 1:1
სიგმა-ბანიკი ................................. 2:3
ტეპლიცე-იაბლონეცი .................. 1:2
სლავია-პლზენი ............................ 0:0

**პოლონეთი. ექსტრალიგა**

ჩენსტოხოვა-ლოძი ....................... 1:1
არკა-სლასკი ................................. 2:1
ვისლა-ლეგია ............................... 1:3

**ლეგიას პირველი გოლი ვაკო გვილიამ გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დინამო-ოლექსანდრია ................. 5:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-მიდტიულანდი ... 0:1
ოდენსე-ესბიერგი ........................ 3:1
ოლბორგი-ორხუსი ....................... 2:3
სონდერიისკე-სილკებორგი ......... 2:2
კოპენჰაგენი-რანდერსი .............. 2:1
ჰობრო-ლუნგბიუ ......................... 2:2
ჰორსენსი-ბრონდბიუ .................. 3:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 3. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. თაფლგამოცლილი ფიჭა; 6. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალის გამოყენებით შეერთება; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების მედიცინის დარგი; 14. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 16. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 20. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 23. უძველესი ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 7. გადამფრენი ფრინველების პერიოდული მოვლენების, მოძრაობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ნავთობის, გაზის უდიდესი საბადო ირანში; 12. ცხოველის ტანზე დასმული დამღა; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 15. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ბრაზილიური ფირმა; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 27. ძველი, იშვიათი ნივთიერების შემფასებელი, მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თლაშო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. ვანდომი; 9. „სინხუა“; 13. დიჯეი; 17. საკი; 18. სნო.

**თარაზულად:** 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. ბედუინი; 11. ამანი; 12. კორპუსი; 14. სეგუნი; 15. ქსილიტი; 16. ტესტი; 19. ავერსი; 20. ვიოლინო; 21. ტალინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შერპი; 2. წაბლი; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ბიგამია; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ინსტინქტი; 14. კატაი; 16. „არიბა“; 18. კრაკოვი; 20. „გურიელი“; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

**თარაზულად:** 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. „ონიმა“; 15. ატომი; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. „პასტორალი“.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9562

ევრო — 3.3476

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7328

100 რუსული რუბლი — 4.2963

## ამინდის პროგნოზი 9 ივნისისათვის




## „მასტერშეფი" ლიკა ესაიაშვილმა დატოვა



მსოფლიოში ცნობილი კულინარიული შოუს „მასტერშეფის" მესამე სეზონის პირველი საკონკურსო ტური ლიკა ესაიაშვილისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

პირველი საკონკურსო ტურისთვის დამზადებული კერძებიდან ჟიურისთვის – ლუკა ნაჭყებიასთვის, ლევან კობიაშვილისა და კონსტანტინე თედელურისთვის ყველაზე ცუდი ლიკა ესაიაშვილის, პაატა ჭონიაშვილის და ნინი სტურუას კერძები აღმოჩნდა. სწორედ ეს სამეული გახდა შოუდან გავარდნის კანდიდატი, თუმცა საბოლოოდ ჟიურიმ შოუდან ლიკა გაუშვა.

## თინათინ მაღალაშვილი: „კანონით დახურულ ობიექტს კარანტინის პირობებში რატომ უნდა დაედოს ჯარიმა?"



დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს და მიაჩნია, რომ მისი დაჯარიმება არასამართლიანად მოხდა:

– არ მესმის, რატომ გაქვთ იმედი, რომ ბიზნესი ისევ წამოდგება ფეხზე! როცა ელემენტარულ საკითხებს ვერ აკონტროლებს სახელმწიფო!

ობიექტზე გადავიხადე გაზის გადასახადი და დავკეტე კარანტინიდან გამომდინარე. აპრილში მოვიდა მარტის ნარჩენის ქვითარი, მაგრამ რადგან ვერ გადავიხადე, დაამატეს ჩაჭრის და ჩართვის გადასახადი! არც ჩაჭრილია და არც ჩართვას საჭიროებს ამ დროს!

ობიექტიც რამდენიმე დღეა გავხსენით და კაცმა არ იცის, რა გველოდება – ამიხსენით, ხალხნო, იძულებით დახურულ, კანონით დახურულ ობიექტს, კარანტინის პირობებში რატომ უნდა დაედოს ჯარიმა, ამიხსნით ვინმე? დახურულ ობიექტზე სამი თვის 15-15 ლარი მარტო დასუფთავების გადავიხადე დახურულ ობიექტზე! ეს ნორმალურია?

ვინმეს რამე დახმარება გაქვთ მიღებული? ვინც ბიზნესს ქმნით? დახმარებას ვინ ჩივის, იმას მაინც მიაქციეთ ყურადღება, რაც არ დამიხარჯავს, ის რომ არ გადავიხადო!

## ნიკა აგლაძე ინტელექტუალურ თამაშს დაუბრუნდა



მოაზროვნე ნიკა აგლაძე, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ინტელექტ-კლუბს „რა? სად? როდის?" დაუბრუნდა. ინფორმაცია მოთამაშე დავით რაფავამ გაავრცელა:

– მინდა გაგახაროთ: განვაახლეთ ვარჯიშები ნიკასთან ერთად, რომელიც შესანიშნავ ფორმაში გახლავთ.

ნიკამ უახლოეს წარსულში ურთულესი ოპერაციები გადაიტანა. მას თურქეთში კავერნომა ამოკვეთეს, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მალევე საგრძნობლად გართულდა და მოაზროვნეს ნეიროქირურგების დახმარებაც დასჭირდა.

ნიკა აგლაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ახლა თავს კარგად გრძნობს.

## იუმორი

სიძე სიდედრს სმს-ს უგზავნის:

– თქვენი ნახელავი (ქალიშვილი) ნორმალურ საჭმელებს ვერ ამზადებს, არ ალაგებს, არ რეცხავს და არც პერანგებს მიუთოვებს.

სიდედრმა უპასუხა:

– არჩევანი თქვენზეა, სიძე ბატონო. ნახელავი გადმოგეცათ, გარანტიის ვადა ამოწურულია! მწარმოებელი პასუხისმგებლობას ველარ აიღებს! შესაძლოა პროგრამამ აურია, სცადეთ, თქვენი გასაღები მოარგოთ იქ, სადაც საჭიროა. თუ მაინც ვერაფერს გააწყობთ, გამოიძახეთ დამხმარე (ხელოსანი)!!!

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– პირდაპირ შველივით ფეხები გაქვთ!

– მასავით მოხდენილი?

– არა, ბანჯგვლიანი!

•••

გასინჯვის შემდეგ პაციენტი ექიმს ეკითხება:

– სიგარეტის მოწევას თავი დავანებო?

– არ არის საჭირო, უკვე გვიანია...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი უბედური ქმარი, ჩვენი შეუღლებიდან ერთ კვირაში გარდაიცვალა.

– აცხონოს ღმერთმა, დიდხანს არ უწვალია...

•••

ბარმენი დახლთან მჯდომ მამაკაცს ეკითხება:

– ჭიქა ცარიელი გაქვთ და კიდევ გსურთ?

– ორი ცარიელი ჭიქა რა ჯანდაბად მინდა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ინტერს ალვარო მორატას ყიდვა სურს




მილანის ინტერს მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდის ალვარო მორატას ყიდვა სურს და მზად არის, მის ტრანსფერში 60 მილიონი გადაიხადოს. ატლეტიკო არ აპირებს მორატას გაყიდვას, მაგრამ კორონავირუსით გამოწვეული ფინანსური კრიზისის გამო, შესაძლოა, გადაიფიქროს.

მორატას აქვს იტალიაში თამაშის გამოცდილება და ადრე ის ტურინის იუვენტუსის ღირსებას იცავდა. ატლეტიკომდე მორატა ჩელსიში იყო, სადაც იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა.

## ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები, შესაძლოა, ერთ ქალაქში ჩატარდეს




ჩემპიონთა ლიგასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გავრცელდა. შესაძლოა, დარჩენილი შეხვედრები ერთ ქალაქში ჩატარდეს და ეს ქალაქი ლისაბონი გახდეს. ასეთი შესაძლებლობა რეალურია, მაგრამ ჯერჯერობით ეს ოფიციალურად დადასტურებული არ არის. ასევე ცნობილი არ არის, თუ როდის განახლდება ჩემპიონთა ლიგა, თუმცა, სავარაუდოდ, ეს აგვისტოში უნდა მოხდეს.

უეფა ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას რამდენიმე კვირაში მიიღებს.

## შვილმა დედას სელფი დაღუპვამდე რამდენიმე წუთით ადრე გაუგზავნა



მამაკაცმა საკუთარ დედას მეგობრებთან ერთად გადაღებული სელფი ამერიკის ქალაქ სენტ-ლუის გარეუბან მერილენდ-ჰაიტსის აეროპორტიდან ავიაკატასტროფაში დაღუპვამდე რამდენიმე წუთით ადრე გაუგზავნა.

39 წლის დენიელ შედი უნივერსიტეტელ სამ მეგობარ – 35 წლის ჯოშუა სუირისთან, 39 წლის დენიელ შლოსერთან და 39 წლის ჯონ კამილიერისთან ერთად ერთძრავიანი ოთხადგილიანი თვითმფრინავით გაფრენას აპირებდნენ, რომელსაც სუირისი მართავდა.

გაფრენის წინ შედმა დედას ფოტოსურათი გაუგზავნა, რომელზეც გაფრენის ბედნიერი მონაწილეები იყვნენ აღბეჭდილები. აფრენიდან ხუთ წუთში თვითმფრინავი ილინოისის შტატის ქალაქ კარლინვილის მახლობლად ჩამოვარდა.

შედის მამის, ჩარლზის თქმით, ეს მისი შვილის პირველი გაფრენა იყო მეგობრებთან ერთად და მას მოუთმენლად ელოდა.

– ისინი ამაღლებულ განწყობაზე იმყოფებოდნენ, თავს ბედნიერად გრძნობდნენ. შესანიშნავი ამინდი იყო, – განაცხადა მან. შედის მამამ ასევე აღნიშნა, რომ თვითმფრინავი 1964 წელს იყო გამოშვებული და კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მცირე ხნის წინ მას ყოველწლიური ინსპექცია ჰქონდა გავლილი.

ავიაკატასტროფის მიზეზების დასადგენად მიმდინარეობს გამოძიება.

## პოპულარულმა მოდელებმა Vogue-თვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა



პოპულარულმა მოდელებმა მასობრივად მიიღეს მონაწილეობა Vogue-ს ბრიტანული ვერსიისთვის გამართულ ფოტოსესიაში, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო თვითიზოლაციის პირობებში საქველმოქმედო პროექტის ფარგლებში გაიმართა. ფოტოსურათების სერია ინსტაგრამში გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა.

პროექტში 23-მა მოდელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის კენდალ ჯენერმა, ჯიჯი და ბელა ჰადიდებმა, კეიტ მოსმა, ირინა შეიკმა, ჩელენა კრისტენსენმა, ჯოან სმოლსმა და სხვებმა. მოდელებს მათი გარდირობიდან ნებისმიერი ნივთის არჩევა, მასთან ერთად ფოტოსურათის გადაღება და შემდეგ საქველმოქმედო აუქციონისთვის შეწირვა შესთავაზეს.

ჯოან სმოლსმა სურათი ქვედა საცვალში გამოწყობილმა გადაიღო, შიშველი მკერდი კი Givenchy-ს ბრენდის ხელჩანთით დაიფარა. კრისტენსენმა




სურათი Dior-ს ღრმად ჩაჭრილი კაბით გადაიღო, იმ დროს, როდესაც შეიკმა ფოტო მოშიშვლებული მკერდით გადაიღო, რომელზეც წითელი ხელჩანთა ჰქონდა აფარებული. თავის მხრივ კენდალ ჯენერმა შავ ბიკინებში გამოწყობილმა გადაიღო, რომელზეც ზევიდან ნაცრისფერი პიჯაკი ჰქონდა მოცმული და შავი მზის სათვალეები ეკეთა.

გამოცემის ინფორმაციით, მიღებული შემოსავლის ერთი ნაწილი სამედიცინო დაწესებულებებს გადაეცემა, ხოლო მეორეს კი მიიღებს ორგანიზაცია, რომელიც სისტემურ რასიზმს ებრძვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

9 ივნისისათვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. კატეგორიული, დაჟინებითი მოთხოვნა; 2. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 3. მხარე ბელგიაში; 4. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 5. საწვავისა და ბალასტისთვის განკუთვნილი ავზები სატრანსპორტო გემზე; 6. პროფესიონალი ცხენოსანი; 7. ქართული მინერალური წყალი; 9. ბუდისტთა სამლოცველო ჩინეთსა და იაპონიაში; 13. ქალაქი ჰოლანდიაში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. პოლონეთის პრეზიდენტი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

**თარაზულად:** 1. ბრიტანეთის ნაწილი; 3. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 4. დაქირავებული კავალერი; 10. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა; 11. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 12. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 14. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 15. მდინარე კახეთში; 16. უნგრელი კომპოზიტორი; 19. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული; 20. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 21. დაუდუღარი ყურძნის წვენი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*